კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანა ასანიძე

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2018

ანოტაცია

ნაშრომი აქტუალურია, რადგანაც მასში გადმოცემულია, მსოფლიო წესრიგის ცვლილება, რომელიც დაკავშირებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა, რომელიც თავისი შინაარსით გლობალურ ხასიათს ატარებდა, შეცვალა მსოფლიო წესრიგი. ეს ომი იყო ის მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია მრავალპოლარული მსოფლიოს შესახებ. ნაშრომში გადმოცემულია, იმ პროცესების ანალიზი, რომელიც ურთიერთკავშირშია ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებასთან.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველომ სხვა გზა აირჩია და მისი პარტნიორი დასავლეთი და ნატოა, ამ ქვეყანასთან სტრატეგიული პარტნიორობა არ გამოდის. რუსეთის უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, ნატოს სამხედრო ბლოკის გაფართოება მის ეროვნულ ინტერესებს საფრთხეს უქმნის.

კვლევის მიზანი იყო, გაგვეანალიზებინა ზემოთ აღწერილი პროცესები და შეგვეფასებინა, ამ ომის როლი გლობალურ პროცსებში და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების დინამიკაში.

Annotation

Formation of new World order between Russian-Georgia war in August 2008

The thesis is very actually as it describes the changes of the world safety rules. It has been connected to the war which took place in 2008 between Russia and Georgia. This war which has been distinguished as the world significance issue changes the rules of regulations. This period was a critically crucial episode when Russian government imposes its attitude to the world multipolare cases. The study shows the analyses of those processes which is interreated to the formation of the new world rules.

Since Georgia has chosen different direction for governing country, ir has been foud out that its partner appears from the east, NATO. So, the relationship between Russia and Georgis isn't possible. According the Russian safety concept, it is obvious that enlarging the Nato's military block produce the risks for Russian nation interests.

The aim of our research to analyze the above mentioned processes and evaluate the role of the war amongst the global cases. Also, it helps us to examine the formation of the new world rules.

Ana Asanidze

შინაარსი

შესავალი.....6

I თავი. ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება

1.1. მსოფლიო წესრიგი ცივი ომის შემდეგ.....8

1.1.ა.შ.შ-ჰეგემონიის დაღმასვლა.....11

1.3.ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება.....16

II თავი. საბჭოთა კავშირის დაშლა და პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური არჩევანი

2.1.დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები....24

2.2. საქართველოს გაწევრიანება დ.ს.თ-ში.....26

2.3. საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში:
საქართველო და ევროკავშირი

საქართველო და ნატო.....29

III თავი . საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის გლობალური ხედვა

3.1. 2008 წლის ომის მიზეზები.....43

3.2. 2008 წლის ომის და საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა.....48

3..3 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები და ახალი მსოფლიო წესრიგი……57

დასკვნა.....68

გამოყენებული ლიტერატურა.....70

შესავალი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების გაანალიზების თვალსაზრისით, საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. 2008 წლის ომი, წარმოადგენდა ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ბრძოლის ნაწილს. ეს ბრძოლა დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს ჰარტლენდისათვის. ხოლო საქართველო და კავკასიის რეგიონი, მაკინდერისეული ჰარტლენდის განუყოფელ ნაწილა მიიჩნევა.

თემის აქტუალობა: თემაში განხილულია, რუსეთ-საქართვლოს ომი, განიხილება ახალი მსოფლიო წესრიგი და პარალელი გვაქვს მე-20 საუკუმის ახალ მსოფლიო წესრიგთან. აღნიშნული თემა აქტუალურია , რადგანაც 2008 წლის აგვისტოს ომზე საუბრისას მნიშვნელოვანია, ამ ომის განხილვა გლობალური პოლიტიკის ჭრილში, რრადგანაც ორი დიდი სახელმწიფოს დაპირისპირებიდან მსოფლიო პოლიტიკის ზედაპირამდე მივყავართ.

ჰიპოთეზა: ცივი ომის დასარულმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო წესრიგი. კომუნიზმის დამარცხებამ მე-20 საუკუნის მიწურულს ჩამოაყალიბა ახალი მსოფლიო წესრიგი და თუ მაშინ საუბრობდნენ რიგი მკვლევარები მსოფლიოს უნიპოლარიზებაზე, 21-ე საუკუნეში იცვლება ეს სიტუაცია. 2008 წლის

აგვისტოს ომი იყო ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის შედეგადაც რუსეთმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია მრავალპოლარული მსოფლიოს შესახებ.

საკვლევი კითხვები:

1) რა იყო რუსეთ- საქართველოს ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზი?
2) როგორი მსოფლიო წესრიგი იყო ცივი ომის დამთავრების შემდეგ და 2008 წლის ომამდე?
3) როგორ შეიცვალა მსოფლიო წესრიგი 2008 წლის ომის შემდეგ?

თემის მიზნები და ამოცანები: თემის მთავარი მიზანია ერთიანი ნაშრომის სახით გადმოვცეთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზებისა და შედეგების ანალიზი, აგრეთვე, მსოფლიო წესრიგის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში და როგორია იგი დღესდღეობით.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია, ჰენრი კისინჯერის თეორია „ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების შესახებ“.

მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, პროცესების შედარებითი ანალიზი, კონტენტ-ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: მოცემული ნაშრომი გამოადგება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით დაინტერესებულ ყველა მეცნიერს, პრაქტიკოსს, ანალიტიკოსს და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. შეიძლება გამოყენებული იქნას სასწავლო კურსებში, ნაშრომი

წარმოადგენს თეორიულ კვლევას და შეიძლება გამოყენებულ იქნას, ამ პრობლემატიკის შემდგომი კვლევისთვის.

მოცემულ ნაშრომში, გამოყენებულია სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი წიგნები, რომლებიც ეხება რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის, გამომწვევი მიზეზებისა თუ შედეგების ანალიზს, აგრეთვე, სტატიები ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ.

2008 წლის აგვისტოს ომს, ეხება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების - ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას წიგნი: „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“,სადაც საუბარია დასავლეთის სახელმწიფოების როლზე საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ხაზგასმულია პოლონეთის მაშინდელი პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის პოზიცია 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში, შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, რონალდ ასმუსის წიგნი, „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, სადაც საუბარია, ა.შ.შ-ს როლზე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე და აგვისტოს ომის გეოპოლიტიკურ ჭრილზე.

დოდო პერტაიას ავტორობით გამოვიდა წიგნი, „აგვისტოს ომის შემდეგ:

კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში“. ავტორი ხაზს უსვამს „ნატოს“ ორმაგ პოლიტიკას. მისი აზრით,

მიუხედავად ,ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პოზიციისა, რომელიც კატეგორიულად მოუწოდებდა რუსეთს 12 აგვისტოს სამშვიდობო გეგმის შესრულებისკენ, „ნატო“ აღმოჩნდა ის ორგანიზაცია, რომელმაც უკან დაიხია და რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობები ისევ აღადგინა იმ მოტივით, რომ რუსეთი იყო და არის მნიშვნელოვანი გლობალური მოთამაშე.

აღსანიშნავია, დაზმირ ჯოჯუას წიგნი: „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია

საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“. ნაშრომში ფართოდ არის მიმოხილული არა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები, არამედ ზოგადად საუბარია რუსულ-ქართული კონფლიქტის საფუძვლებზე, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი.

I თავი. ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება

1.1. მსოფლიო წესრიგი ცივი ომის შემდეგ

“ცივი ომის” დასრულებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება და ახალი რეალობის გააზრების საჭიროება წარმოშვა. უზარმაზარი გაერთიანება, რომელსაც ევრაზიის კონტინეტზე ყველაზე მეტ ფართობს ფლობდა, აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის და მცირე აზიის ჩათვლით დაინგრა. დაინგრა ქვეყანა, რომელიც მთავარ იდეოლოგიურ მეტოქეს წარმოადგენდა განვითარებული ქვეყნებისთვის. ლიბერალურმა დემოკრატიამ გაიმარჯვა კომუნიზმთან ბრძოლაში. იწყება საბჭოთა კავშირის რღვევა, სისტემაში შემოვიდნენ სხვადასხვა პატარ- პატარა აქტორები. დაინგრა ის სახელმწიფოები, რომლებიც საბჭოთა კავშირში ერთ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მაგალითად ჩეხოსლოვაკია. ისინი ჯერ ჩამოუყალებებელი მოთამაშეები არიან სისტემისთვის. ახალ გაღვიძებულ სახელმწიფოებში იმძლავრა ნაციონალურმა იდეოლოგიამ, რამაც გამოიწვია ეთნიკური კონფლიქტები მრავალ საბჭოთა ქვეყანაში. ამ ფონზე მულტიპოლარული სისტემა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობებში.

მულტიპოლარული სისტემის პირობებში ბალანსი არ არსებობს, ახალმა აქტორებმა, რომლებიც ჯერ კიდევ თვითდამკვიდრების პროცესში იყვნენ სისტემაში ქაოტურობა შემოიტანეს.

ცივი ომის შემდგომი პერიოდი ე.წ. ერთპოლუსიანობისკენ იხრება, სადაც გლობალურ წესრიგს დაპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსი კი არა, ერთი, სავარაუდოდ, კეთილგანწყობილი აქტორი განსაზღვრავს, თუმცა მისი ვინაობა ბუნდოვანი რჩება. სხვადასხვა პერიოდში, ასეთად გვევლინებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭო, დასავლეთი (წარმოდგენილი ნატოს სახით), აშშ თავის მოკავშირეებთან ერთად (ე.წ. „მოსურნეთა კოალიცია“). დომინანტ აქტორს მოიხსენიებდნენ გაურკვეველი სახელით „საერთაშორისო თანამეგობრობა“, სადაც იგულისხმებოდა წამყვანი ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი.

საერთაშორისო პოლიტიკა[1] ცივი ომის შემდგომ პერიოდში ორი მთავარი პრინციპით რეგულირდებოდა, რომლებიც ხშირად ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიოდა. პირველი მათგანი გულისხმობდა სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემას, მათ შორის არსებული საზღვრების ურღვეობას და თითოეული სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად მისი ზომისა საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიმართულების თავისუფალ არჩევას, რაც ხელს უშლიდა წამყვანი სახელმწიფოების[2] მხრიდან გავლენის ექსკლუზიური სფეროების გადანაწილებას. მეორე მხრივ, სახელმწიფო სუვერენიტეტი მნიშვნელობას კარგავდა და ბათილდებოდა მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის შემთხვევაში. დასავლეთი ანუ დემოკრატიული ქვეყნების არაფორმალური კავშირი, სრული ლიდერი იყო პოლიტიკურ, სამხედრო,

[1] http://european.ge, 10/06/2018

[2] Barbashin, A. „A collapse that did not happen“, New York, 2010. გვ:57

ეკონომიკურ და ნორმატიულ სფეროებში. ლიდერის როლი დასავლეთის ერთ, ყველაზე გავლენიან ქვეყანას - ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი შეეძლო ეტვირთა. ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოებამ ევროპაში ლიბერალური ღირებულებების საბოლოო გამარჯვებას გაუსვა ხაზი. ამ ფონზე პირველად ისტორიაში მიჩნეულ იქნა, რომ საერთაშორისო წესრიგი დაეფუძნებოდა არა მხოლოდ ძალთა ბალანსს, არამედ ღირებულებათა ერთობას, როგორიცაა დემოკრატიული მშვიდობა და ადამიანის უფლებები, თუმცა ეს ორი პრინციპი თავისი წონით ერთმანეთს ეცილებოდა.

ცივი ომის შემდგომი პერიოდის ზოგადი ტენდენცია სწორედ კონსენსუსისა და ლეგიტიმაციის დონის თანდათანობითი შეკვეცაა. სპარსეთის ყურის პირველი ომი, ცივი ომის შემდგომი პერიოდის პირველი სერიოზული გამოწვევა, თითქმის სამაგალითო გზით მოგვარდა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ოპტიმისტური ხედვა გააჩინა. ამ ხედვის თანახმად, მსოფლიო უსაფრთხოების პრობლემების გადასაწყვეტად მისაღებ ზომებს გაერო-ს უშიშროების საბჭო მიანიჭებდა ლეგიტიმაციას. თუმცა, გაერო-ს უუნარობამ მოეგვარებინა ბალკანეთის კრიზისი, აიძულა ნატო თავის თავზე აეღო ამ პრობლემის გადაწყვეტა. ამან რუსეთის ხელახალი გაუცხოება გამოიწვია: ბალკანეთის კრიზისის შემდეგ ეს უკანასკნელი დაუბრუნდა ცივი ომის დროინდელ ხედვას, რომლის მიხედვითაც ნატო რუსეთის მეტოქეა და მის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ალ-ქაიდას თავდასხმამ ამერიკაზე 2001 წლის 11 სექტემბერს, ცივილიზებული მსოფლიო ამერიკის გარშემო გააერთიანა, მაგრამ ამერიკის ერაყში შეჭრამ კიდევ უფრო სერიოზული დარტყმა მიაყენა საერთაშორისო კონსენსუსს და დამაფიქრებელი ტრანსატლანტიკური განხეთქილება გამოიწვია. მართალია, ბარაკ ობამას პირველმა ვიზიტმა ევროპაში 2009 წლის გაზაფხულზე ტრანსატლანტიკური ურთიერთობების დათბობის იმედი ჩასახა, მაგრამ უნდა აღინიშნოს,რომ დიდი

წარმატება მას არ მოჰყოლია. მაგალითად: ავღანეთში ნატო-ს ოპერაციაში ევროპელების კონტრიბუცია თითქმის არ გაზრდილა.

გამომდინარე აქედან, "ცივი ომის" დამთავრებასთან ერთად დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების დასავლური ფაზა; წინ წამოიწია ურთიერთობამ დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს შორის. ეს უკანასკნელნი აღარც კმაყოფილდებიან ისტორიის ობიექტის როლით, რომელსაც ტრადიციულად ასრულებდნენ, არამედ, დასავლეთის მსგავსად, თავად ქმნიან და წარმართავენ საკუთარ ისტორიას. იდეოლოგიის "რკინის ფარდა", კულტურის "ხავერდის ფარდამ" შეცვალა.

1.2. ა.შ.შ-ს ჰეგემონიის დაღმასვლა

ცივი ომის დასრულებით მსოფლიო დაემშვიდობა ორპოლუსიან მმართველობას, სადაც ორი ძალა - ა.შ.შ და ს.ს.რ.კ ფლობდა დომინანტ პოზიციებს. 1991-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირი დაიშალა და დასრულდა სოციალისტური სახელმწიფოს დომინირების ხანა. ცივ ომში სსრკ-ს კრახს სხვადასხვა ობიექტურ თუ სისტემურ ფაქტორს უკავშირებენ, კერძოდ: საბჭოური სისტემის ძალადობრივი ხასიათი, არაჰომოგენურობა, ექსტენსიურობა, რესურების ათვისების უუნარობა და უაზრო ფლანგვა, მეტისმეტი ცენტრალიზაცია, პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაბალი დონე, დასავლეთის სტრატეგიის ეფექტიანობა, კომუნიზმის გაკოტრება და ინტეგრისტული იდეოლოგიის არ ქონა, ერთიანი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების უუნარობა, ეროვნული საკითხი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ა.შ.შ იმ პერიოდში[3] სხვა ქვეყნების მხრიდან ცალსახად აღიარებული იყო,

[3] https://politicano01.wordpress.com, 12/06/2018

როგორც სუპერ სახელმწიფოდ და თეთრი სახლი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა საერთაშორისო პოლიტიკაში, იქნებოდა ეს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის გადაწყვეტა, სუდანის, სომალის თუ რომელიმე სხვა საერთაშორისო კრიზისის. ცივი ომის პერიოდში თითქოს ამერიკის საერთაშორისო ძლიერებას არც არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც უნიპოლარული სამყაროს დიდხანს არსებობას სკეპტიკურად უყურებდნენ, ხოლო აშშ-ს ჰეგემონიას არც ისე ხანგრძლივობას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგალითად ქენეთ ვოლცი, რომელმაც მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაშრომში „სტურქურული რეალიზმი“, გააკრიტიკა უნიპოლარული სისტემა და აშშ-ს გამოფიტვა უწინასწარმეტყველა, მიუხედავად მისი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, მილიტარისტული უპირატესობების და დიდი დემოგრაფიული რესურსისა. თუმცა, არც ამერიკაში და სავარაუდოდ არც სხვაგან, არ მოელოდნენ სიტუაციის იმ ტემპებით და იმგვარ განვითარებას, რამაც დღევანდელ რეალობამდე მოგვიყვანა, სადაც ამერიკის გავლენა თანდათან იკლებს. აშშ-ს როლის დაკნინება საერთაშორისო პოლიტიკაში შემდეგმა პროცესებმა გამოიწვიეს; ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მოხდა დიდი ტრაგედია, ტერორისტული აქტი 9/11, რომელმაც პირველი პირდაპირი დიდი დარტყმა მიაყენა ამერიკის შეერთებულ შტატებს მისივე ტერიტორიაზე, რომელზე სწრაფი და უმკაცრესი რეაგირება იყო აშშ-სთვის. 2001 წლის 20 სექტემბერს ჯორჯ ბუშის მიერ დაანონსებული “War on terror” დაიწყო 2001 წლის 7 ოქტომბერს ავღანეთში არსებული თალიბანის რეჟიმზე განხორციელებული ფართომაშტაბიანი საომარი მოქმედებებით, სადაც აშშ-ს გარდა მონაწილეობდა სხვა ქვეყნებიც. საბოლოოდ, “Enduring Freedom” ოპერაციის ფარგლებში, 50-ზე მეტმა ქვეყანამ

მიიღო მონაწილეობა, რომლის შედეგადაც თალიბანის ერთი ნაწილი პაკისტანში გადავიდა.

ერაყის კამპანიაში ბრიტანულ-ამერიკულმა შენაერთებმა უსწრაფესად გაანადგურეს ჰუსეინის ჯარები და პირველი მაისისთვის ისინი თითქმის უკვე აკონტროლებდნენ ქალაქ ბაღდადსაც. თუმცა, საქმე არც ავღანეთის და არც ერაყის აღებაში არ იყო და ამით ისინი ტერორიზმის პრობლემას ვერ წყვეტდნენ, რასაც ადასტურებს დღეს არსებული ბევრად უფრო მძლავრი ტერორისტული ორგანიზაციების არსებობა ახლო აღმოსავლეთში. ტერორისტების და სადამის მოძალადე რეჟიმის დამარცხების შემდეგ ა.შ.შ-ს ამოცანა იყო შემდეგი: დაემყარებინა კონტროლი ორივე ქვეყანაზე და შეექმნათ მათთვის სასურველი რეჟიმი, რაც განხორციელდა კიდეც, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში იქონია დამანგრეველი ეფექტი არა მარტო ავღანეთისა და ერაყისთვის, არამედ მთლიანად რეგიონის დონეზე. ეს კი გამოიხატა ჯერ კიდევ ამერიკული ჯარების იქ ყოფნის პერიოდში. 2011 წელს ერაყში დაიწყო შიიტურ -სუნიტური დაპირისპირება. ობამას ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ამერიკის შეერთებული შტატების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, გარდა იმისა, რომ ქვეყანა ღრმა რელიგიურ ომში ჩაერთო, რეგიონში შეიქმნა შემდეგი სურათი: რეგიონში დაირღვა ძალთა ბალანსი, რადგანაც ერაყი იყო დამბალანსებელი, დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიური მტრიირანის და აგრეთვე აგრესიული არაბული სახელმწიფოების; ერაყის ჩამოშლით ფაქტიურად გაქრა ბუფერული ზონა ორ პოტენციურ ბირთვულ სახელმწიფოს: ირანსა და ისრაელს შორის; სადამის მოშორებით, ჩამოიშალა „დიდი კედელი“ რომელიც აკავებდა ისლამისტების აქტივობას ერაყში და მეტ-ნაკლებად რეგიონის დანარჩენ ნაწილებში. თუმცა, მთავარი რამ, რაც ერაყში განხორციელებულ ინტერვენციას მოჰყვა, ეს იყო სანავთობო კრიზისი, რომელიც შემდეგში ნეგატიურად აისახა

ამერიკის დომინაციაზე გლობალურ პოლიტიკაში. ყურადღება მისაქცევია, რომ ერაყში მსოფლიოს ჰიდროკარბონატული რესურსების 65%-ია თავმოყრილი და იგი ამავდროულად არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ენერგო იმპორტიორი და გააჩნია დიდი ენერგო რესურსები, რაიმე არასტაბილური ვითარება ან საომარი მოქმედება აქ გამოიწვევს ღრმა სანავთობო კრიზისა.

2003 წლის ინტერვენციით, თეთრმა სახლმა არაპირდაპირი დარტყმა მიაყენა მისთვისვე სასურველ და კომფორტულ უნიპოლარულ სისტემას, სადაც შეერთებული შტატები უპირობო ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ ომით თუ ვინმემ ისარგებლა, ეს ალბათ პირველ რიგში ნავთობ იმპორტიორი ქვეყნებია და მათ შორის შტატების ერთ-ერთი ძირითადი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე რუსეთის ფედერაცია. რუსეთიიქ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვერადავერ ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო. ძალაუფლება გადანაწილებული იყო სხვადასხვა გავლენის ჯგუფებს შორის და მათი არაეფექტურობის ბრალი იყო ისიც, რომ 1994-1997 წლებში ერთ მილიონიან ჩეჩენ ერთან ბრძოლაში დამარცხდნენ. თუმცა, ალბათ იმდენად იყო ა.შ.შ-ც და მთლიანად დასავლეთის პოლიტიკური ელიტა მათ შესაძლებლობებში და ამავდროულად რუსების უსუსურობაში დაჯერებული, რომ არც წარმოედგინათ რუსული ტანკები საქართველოში და ალბათ არც უკრაინაში. მაშინ, როდესაც შეერთებული შტატები კოალიციურ არმიასთან ერთად ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმს ებრძოდა, მან ყურადღება მოადუნა პოსტ საბჭოთა სივრცის მიმართ და ამან გარკვეული ძალის ვაკუუმი გააჩინა, რომლის შევსებაც რუსეთმა დაიწყო. მათ ჯერ ცენტრალურ აზიაში გაიმყარეს პოზიციები, მიუხედავად რეგიონში არსებული შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებისა. თუმცა ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო 2007 წლის მიუნხენის კონფერენცია, რომელმაც, 11 სექტემბრის ტერაქტთან ერთად სათავე დაუდო გლობალურ

ცვლილებებს. მიუნხენის კონფერენციაზე პუტინის გამოსვლა იყო დაპირისპირება უნიპოლარულ სისტემასთან, სადაც ამერიკა დომინირებდა მხოლოდ და ამავდროულად განაცხადი ახალი მსოფლიო წესრიგზე, რომელიც მრავალ პოლუსიანი იქნებოდა. თითქმის ერთი წლის შემდეგ მიუნხენის კონფერენციიდან, საქართველოში განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ და მსოფლიოში არსებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა 2008 წელს დასაბამი მისცა მისცა გლობალურ ცვლილებებს .

ჩემი აზრით, რონალდ ასმუსის წიგნის[4] სახელი, რომელიც 2008 წლის რუსულ-ქართულ ომზე მოგვითხრობს, სრულიად სამართლიანად ქვია „მცირე ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, სადაც აღწერილია, რომ „კრემლისათვის საქართველო შემთხვევითი სამიზნე არ იყო და დროც მათთვის ზუსტად იყო შერჩეული; პირველ რიგში, კრემლის მხრიდან ეს იყო, დემონსტრირება სამხედრო ძლიერების, რომელიც ჯერ ავღანელმა მოჯაჰედებმა, ხოლო შემდეგ ჩეჩენმა ბოევიკებმა კითხვისნიშნის ქვეშ დააყენეს გასულ საუკუნეში“.

საქართველო იმ ხანად იყო ა.შ.შ-ს აქტიური პარტნიორი და ამიტომ საქართველოში რუსული ტანკების შემოსვლა და შემდეგ ტერიტორიების აღიარება იყო ერთგვარი დემონსტრირება იმის, რომ რუსეთი იმდენად ძლიერია, ის ანგარიშს არ უწევს ამერიკის ავტორიტეტს და იჭრება მისი მოკავშირის საზღვრებში; 2008 წელი იქნა შერჩეული გამომდინარე იქიდან, რომ ეს გარდამავალი პერიოდი იყო ამერიკისთვის, რადგანაც ბუში მის ბოლო თვეებს ატარებდა პოსტზე და რაიმე მკვეთ ნაბიჯებს ვერ გადადგამდა ამ დროს; რუსეთის ასეთი ქმედება გახდა წამქეზებლური სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებიც სამომავლოდ უმიზნებენ როგორც მინიმუმ რეგიონალურ ჰეგემონებას. პრობლემა იყო ისიც, რომ აშშ-მა საკმარისი ძალისხმევა არ დახარჯა, ალბათ

[4] ასმუსი,რ. „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, თბილისი, 2008. გვ: 98

არც ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ რუსეთისთვის ამ აგრესიისთვის საკადრისი გაეცათ, მაგალითად დაეწესებინათ გარკვეული სახის ეკონომიკური სანქციები. რუსეთის დაუსჯელობის სინდრომს დაემატა ობამა-კლინტონის „გადატვირთვის“ პოლიტიკა, რომელმაც წაახალისა 2014 წელს ჯერ ყირიმის ანექსია და შემდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში იმ რუსული სცენარის გათამაშება, რაც 90-ანი წლების პერიოდში საქართველოს უკვე კარგად გამოცდილი ჰქონდა კრემლს. თუმცა უკრაინის შემთხვევაში, რუსეთს დაუწესდა მძიმე ეკონომიკური სანქციები, რომელმაც ფაქტობრივად გაანახევრა რუსული ეკონომიკა და ხელახალი ბანკროტის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა.

ბევრი ანალიტიკოსი აანონსებდა რუსეთში ეკონომიკური სიძნელეების ფონზე სახალხო გამოსვლებს და საერთოდ რუსეთის ფედერაციის დაშლას, მაგრამ როგორც ვხედავთ დღეს რუსული ჯარი დგას უკრაინაში, ასევე ისინი თავიანთ ინტერესებს იცავენ ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ცივი ომის დასრულების შემდეგ განიხილებოდა, როგორც აშშ-ის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ და დღეს ამ კონფლიქტში მისი ძალები ძალიან სიმბოლურადაა წარმოდგენილი, მითუმეტეს, თუ ერაყის და ავღანეთის კამპანიებს შევადარებთ.

1.3. მსოფლიო უახლესი მსოფლიო წესრიგის მოლოდინში

1999 წლიდან აშშ-მ შესძლო გლობალური მართვის სადავეების ხელში ჩაგდება, განსაკუთრებით ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული „ტერორიზმთან გლობალური ომის“ სტრატეგიის განხორციელებისთანავე. ასეთი მოდელი, ანუ აშშ-ს გლობალური ჰეგემონობა და მონოპოლარული მსოფლიოს წესრიგის მოდელი გაგრძელდა 2014 წლამდე, მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ განახორციელა უკრაინის სუვერენული ტერიტორიის ყირიმის ნახევრაკუნძულის ოკუპირება ე.წ.

„ჰიბრიუდლი ომის“ მეშვეობით და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმისა და პრინციპის უგულებელყოფით მოახდინა მისი ანექსია, რამაც, შემდეგ გამოავლინა საკუთარი ამბიცია უკვე მსოფლიო ჰეგემონობისკენ. რა თქმა უნდა, აშშ-ს და მთლიანად „დასავლეთის“ მხრიდან სავსებით ლოგიკურად დაიწყო ეკონომიკური ბლოკადის განხორციელება რუსეთის წინააღმდეგ და პროცესებმა მიიღო „ახალი ცივი ომის“ პრეცედენტის სურათი.

ამავე დროს, ევროკავშირმა გააფართოვა თავისი საქმიანობა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის მიმართულებით. ა.შ.შ-ში ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლამ და მისმა ნეო-იზოლაციონალისტურმა საგარეო პოლიტიკის ნიშნებმაც - ტრანს-წყნარი ოკეანეთის ხელშეკრულებიდან გამოსვლა და წყნარი ოკეანთის საერთაშორისო ფორუმის დაბლოკვა, ნაფტას გაერთიანებიდან გამოსვლა (აშშ-მექსიკა-კანადის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება), ე.წ. „შერჩევითი ჩარევის“ პრინციპის შემოღება, ა.შ.შ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტის საერთაშორისო დახმარებების პროგრამის შეკვეცა სოლიდური მაჩვენებლით, „პროტექციონისტური“ ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია და ა.შ. თავისი წვლილი შეიტანეს ამერიკული მონოპოლარული მსოფლიო წესრიგის რღვევაში. თუმცა, ტრამპის ახალმა ადმინისტრაციამ თავი არ დაანება რუსეთის ეკონომიკური ბლოკადის პოლიტიკას და რეგიონულ დონეზე საკუთარი ეროვნულ ინტერესებზეც არ თქვა უარი. ამაზე მეტყველებს თუნდაც, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის წარმატებული ვიზიტი ა.შ.შ-ში და მისი შეხვედრა პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან და ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ პენსისთან და მნიშვნელოვანი ორხმრივი შეთანხმების გაფორმება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში და ასევე კონგრესისა და ადმინისტრაციის შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი აქტების

დამტკიცება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური სანქციების გამოცხადებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაბედავენ და შეუერთდებიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ოფიციალური აღიარების პოლიტიკას. ა.შ.შ-მ[5] ასევე გაამკაცრა საკუთარი პოზიციები ახლო აღმოსავლეთისა და კორეის ნახევარკუნძულის რეგიონებში. ამიტომაც, ა.შ.შ და ევროკავშირი დარჩნენ მსოფლიო წესრიგის განსაზღვრელი ფიგურანტები და აქტორები, თუმცა მათი გეოპოლიტიკური „პასიონარიზმი" ერთგვარად გახდა შედარებით სუსტი.

თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციამაც დაიწყო საკუთარი გლობალისტური პროექტების განხორციელება - სირიაში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში და შემდეგში განახორციელა ერთგვარი მცირე ექსპანსია უკვე მაღრიბი-აფრიკის მიმართულებითაც. სირიაში რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია და შეძლო ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა: მოსკოვი-თეირანი-ბაღდადი-დამასკო ძირითადად „ისლამური სახალიფოს" წინააღმდეგ ე.წ „წინსწრები თავდაცვის დოქტრინის" ფარგლებში, მაგრამ ფარულად ეს იყო ა.შ.შ-ს საწინააღმდეგოდ. ამას გარდა, თავის 2016 წელს მიღებულ ახალ სამხედრო დოქტრინაში კრემლმა დააბრუნა „სტრატეგიული ბირთვული დარტყმის" მიყენების პრინციპი და იმავე დოქტრინის ერთ-ერთ პარაგრაფში დააფიქსირა ეკონომიკური უსაფრთხოების მისაღწევად შეიარაღებული ძალების გამოყენების აუცილებლობაც.

ამას გარდა, რუსეთმა გაზარდა სამხედრო ხარჯები ახალი ტექნიკის და შეიარაღების ათვისების მიმართულებით დაახლოებით 40%-ით და გასულ წელს გავიდა მესამე ადგილზე მსოფლიოში სამხედრო ასიგნების მიხედვით. ამასთან ერთად, ამ ეტაპზე ეკონომიკური ბლოკადის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის

[5] http://www.geotimes.ge,06/06/2018

სტრატეგიული სავალუტო რეზერვებმა მიაღწია 402 მლრდ. ამერიკულ დოლარამდე. „ახალი ცივი ომის“ პირობებში რუსეთი გადავიდა აგრესიულ სამხედრო სტრატეგიაზე რაც, უქმნის პირდპირ სამხედრო მუქარას ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთს, რომლებიც, არიან ნატოს წევრი-ქვეყნები. ამის საპასუხოდ, ნატომ 1988 წლის შემდეგ პირველად აამოქმედა ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ანუ „კოლექტიური თავდაცვის“ პრინციპი, როდესაც მანამდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იყენებდა „არა-მეხუთე მუხლით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც მოიცავენ „კრიზისების მართვის“ ოპერაციებში ჩართულობას.

რუსეთის ფედერაციის როლის ამაღლება მსოფლიო წესრიგის მოწყობის საქმეში და მისი მულტიპარული მოდელის მიღწევა, რაც უკვე შესრულდა. რეგიონულ დონეზე რუსეთი კვლავაც აგრძელებს თავის ჰეგემონისტულ პოლიტიკას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, მათ შორის ავღანეთშიც, რუსეთი უკვე არც მალავს იმ ფაქტს, რომ ის აწვდის შეიარაღებას „თალიბანის“ მოძრაობას და ამით აყენებს დარტყმას ნატოს და ა.შ.შ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებს ამ ქვეყენაში და შემთხვევით არ არის ფაქტი, რომ ა.შ.შ-ს გენერალიტეტი ითხოვს სამხედრო კონტინგენტის გაზრდას ავღანეთში. ამავე დროს, ოფიციალურმა მოსკოვმა სწორედ „ჰიბრიდული ომის“ ელემენტების გამოყენებით შესძლო, სერიოზული დარტყმის მიყენება ა.შ.შ-სთვის, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, შეიტანა პოლიტიკური არასტაბილურობის ნიშნები ა.შ.შ-ს მონოლითურ პოლიტიკურ სისტემაში, იმის მიუხედავად, რომ დონალდ ტარმპი რა თქმა უნდა არ არის კრემლის ფავორიტი და იგი წარმოადგენს საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გამტარებელ პოლიტიკოსს. ესეც რუსეთის გლობალისტური ჰეგემონიისკენ გადადგმული ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი იყო, თუნდაც „კვადროპოლარული“ მსოფლიო

წესრიგის დამყარების საქმისთვის. რუსეთი საკუთარი გლობალური გეოპოლიტიკური მიზნების და ამოცანების მისაღწევად აპირებს გამოიყენოს ისეთი მის ეგიდით დაარსებული გეოპოლიტიკური გაერთიანებები, როგორებიცაა: ევრაზიული კავშირი, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია და ჩინურ-რუსული პროექტი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“.

ასეთ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაში, უკვე იკვეთება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მეოთხე ფიგურანტი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლმაც კარგად გამოიყენა ტრამპის ადმინისტრაციის მიერ წყნარი ოკეანეთის ფორუმიდან გასვლის ფაქტორი და უკვე რამოდენიმე დღის წინ, გამართა და განახორციელა ახალი ინიციატივა - საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი „ერთი სარტყელი - ერთი გზა“, რომელიც, არის ფაქტიური დიდი ევრაზიული სივრცის ათვისების და ე.წ. „აბრეშუმის გზის“ სტრატეგიის განხორციელების პროექტი. ფაქტიურად ყალიბდება ჩინეთის პრეზიდენტის ხუ ძინტაოს მიერ წამოყენებული, ჩინური გეოეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, სადაც ჩინეთი აპირებს დააბანდოს სულ მცირე 14 მლრდ. ამერიკული დოლარი და კიდევ უფრო გააფართოვოს „აბრეშუმის გზის ფონდის“ აქტივები, რომელიც, უკვე მოიცავს 40 მლდრ. ამერიკულ დოლარს. ჩინეთი ამ გაერთიანებაში მოიაზრებს რუსეთის ფედერაციას, ინდოეთს და პაკისტანს, რომლებიც ასევე არიან გაერთიანებულნი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“, რომლებსაც შეიძლება შეურთდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, მონღოლეთი, სომხეთი და ა.შ. ამ პროექტის ფარგლებში, ახალი გაერთიანებაა მხედველობაში - „ერთი სარტყელი-ერთი გზა“, მოიაზრება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებაც. ამავე დროს, ჩინეთის გეოსტრატეგიული

აქტიურობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით და ეს სამხრეთ აზიაში კიდევ უფრო მაღლა წევს ჩინეთის გეოპოლიტიკურ სტატუ-კვოს და მის როლს მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში. რა თქმა უნდა მიმდინარე მსოფლიო წესრიგი იქნება „ოთხპულისიანი“ ანუ კვადროპოლარული და მისი აქტორები იქნებიან განსაზღვრული - ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი, ა.შ.შ.

ბევრი ანალიტიკოსი აანონსებდა რუსეთში ეკონომიკური სიძნელეების ფონზე სახალხო გამოსვლებს და საერთოდ რუსეთის ფედერაციის დაშლას, მაგრამ როგორც ვხედავთ დღეს რუსული ჯარი დგას უკრაინაში, ასევე ისინი თავიანთ ინტერესებს იცავენ ახლო აღმოსავლეთში.

ა.შ.შ-ის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ და დღეს ამ კონფლიქტში მისი ძალები ძალიან სიმბოლურადაა წარმოდგენილი, თუ ერაყის და ავღანეთის კამპანიებს შევადარებთ. ასევე რუსეთმა მიაღწია ამ ბოლო პერიოდში წარმატებებს მოლდოვაში, სადაც პრო-რუსი დოდონი მოვიდა. დოდონი ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან ნაჩქარევი უწოდა, სამაგიეროდ აქტიურად მუშაობს ევრაზიულ კავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე და მისი საბოლოო მიზნის გამოცნობაც არ უნდა იყოს რთული მისახვედრი, პრო-რუსი პრეზიდენტი მოვიდა 2016-ში ბულგარეთში, ხოლო რაც შეეხება თურქეთს, რომელიც როგორც ბულგარეთი, ნატოს წევრი ქვეყანაა და აშშ-ს შემდეგ ნატოში ყველზე დიდი ჯარი ყავს, არამეგობრულად უყურებს დასავლეთს, ხოლო საეჭვოდ დაუახლოვდა გადატრიალების მცდელობის შემდეგ პუტინთან და მასთან სხვადასხვა ფორმატის ხელშეკრულებებს აფორმებს. რუსეთის გარდა სერიოზული ძვრებია აღმოსავლეთ აზიაშიც, სადაც ჩინეთმა მიაღწია ეკონომიკური განვითარების მაღალ ტემპებს და ამავდროულად ხელისუფლებაში მოვიდა ძალიან პრაგმატული და ამავდროულად აგრესიულიც

ლიდერი სი ძინპინი, რომელიც დაუფარავად აცხადებს პრეტენზიას აზიაზე და მთავარ საფრთხედ ამ შემთხვევაში აშშ-ს განიხილავს, რომელიც მის სამხრეთ და აღმოსავლეთით რამდენიმე სამხედრო ბაზას ფლობს და ამავდროულად, სწორედ აშშ-ს მეოხებით არსებობს ტაივანი, როგორც დეფაქტო დამოუკიდებელი ქვეყანა. ასევე ა.შ.შ თამაშობს დიდ როლს იაპონია ჩინეთს შორის არსებულ ტერიტორიულ დავაში, რომელიც სენკაკუ/დიაუს ეხება და დღემდე დავის საგანია ამ ორ ქვეყანაში. მნიშვნელოვანია ასევე კორეაში არსებული ბაზები, სადაც სარაკეტო სისტემებია განთვსებული, რომელიც „სიმყუდროვეს ურღვევს" ჩინეთის უსაფრთხოებას. ტრამპის ადმინისტრაციისათვის, ჩინეთი მთავარი და პრინციპული მტერი იქნება მომდევნო რამდენიმე წელი, რომელსაც აქვს იმის პოტენციალი, რომ მომავალში ამერიკას გადაუსწროს საკმაოდ დიდი სხვაობით. ამას ამტკიცებს PricewaterhouseCoopers-ის[6] კვლევა, რომლის მიხედვითაც 2030 წლისთვის ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი $38 ტრილიონი იქნება, მაშინ როცა აშშ-ს მშპ ამავე წლისათვის $23 ტრილიონი იქნება, რაც რასაკვირველია, კიდევ უფრო ამყარებს წინასწარმეტყველებას ჩინეთის ჰეგემონიის შესახებ. ჩინეთის და რუსეთის გარდა დღეს არის კიდევ რამდენიმე ქვეყანა: ბრაზილიის, ირანის, ინდოეთის სახით, რომელიც იბრძვის რეგიონში პირველობისათვის და მათ ამბიციებს ზურგს უმაგრებს მეტ-ნაკლებად მაღალი ტექნოლოგიები, მძლავრი ეკონომიკა, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორია და ძლიერი არმია დიდი დემოგრაფიული რესურსით. თითოეულ მათგანს აქვს პრეტენზიები გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებზე და იმყარებენ პოზიციებს მათ ინტერესთა სფეროში, სადაც ჯერ კიდევ ა.შ.შ დომინირებს. თუმცა მომავალში მიუხედავად ამერიკული ბაზების სიმრავლისა მსოფლიოს მაშტაბით, თეთრ

[6] http://www.nplg.gov.ge,25/05/2018

სახლს ასეთი ძლიერი ქვეყნების წინააღმდეგ გაუჭირდება მათსავე რეგიონში მილიტარისტული მეთოდებით საკუთარი ინტერესების დაცვა, რადგანაც შეერთებული შტატების შესაძლებლობებსაც აქვს გარკვეული საზღვარი. ამიტომ, შესაძლოა ტრამპის ადმინისტრაციას, მისი ურთულესი მემკვიდრეობიდან გამომდინარე მოუწიოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირფესვიანად გადახედვა და მათი გავლენის სფეროების პრიორიტეტულად დაყოფა, რათა ყველასთან ბრძოლაში მთლიანად არ გამოიფიტოს. პრინციპში, 90-იანი წლებიდანვე ბევრისთვის ნათელი იყო, რომ ამერიკა დიდხანს ვერ დარჩებოდა უკონკურენტოდ, მაგრამ უნიპოლარულიდან მულტიპოლარულისაკენ ასეთ სწრაფ სვლას ალბათ ბევრი არ ელოდა.

ირანი, რომელიც ისლამური რევოლუციის შემდეგ ა.შ.შ-ს დაუძინებელი მტერია და დღეს რეალური შანსი აქვს, თუ ის იემენში არაბთა კოალიციურ არმიას დაამარცხებს ჰუსიტების მეშვეობით, არნახული ძალაუფლება მოიპოვოს, რადგან მის ხელშია ჰორმუზის სრუტე, რომელიც სპარსეთის ყურის გასაღებია არაბული ქვეყნებისთვის, ხოლო იემენის ხელში ჩაგდების შემდეგ ის ადენის ყურესაც დაეპატრონება და ფაქტობრივად ის გაკონტროლებს სატრანზიტო გზას, სადაც მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის უდიდესი ნაწილი მოძრაობს და ასევე მოძრაობს ტვირთები ინდოეთის ოკიანიდან ევროპის მიმართულებით. ამიტომ, აანონსებენ ა.შ.შ-სა და ირანის ომს ანალიტიკოსები. მეორე პრეზიდენტის შემთხვევაში, მან მთელი ვალდებულებები მსოფლიოს უსაფრთხოებაზე გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გადააბარა და პასუხისმგებლობა მოიხსნა ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ბუშის დროს შეიქმნა. მისი სუსტი და გაუაზრებელი საგარეო პოლიტიკის ნაყოფი იყო ყირიმის ანექსია და ისიც, რომ დღეს რუსეთი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამცველის როლში საკუთარ ინტერესებს იცავს. ობამას აშშ-ს იზოლაციონიზმის

და საერთაშორისო კონფლიქტების და საკითხებში პასიურობის გამო მულტიპოლარულობის კონტურები, რომელიც ბუშის პერიოდში გაჩნდა, კიდევ უფრო გაამუქდა და დღეს ჩვენ მოგვწონს ეს თუ არა ნელ-ნელ მულტიპოლარულ სამყაროსკენ მივდივართ, სადაც ერთი ზესახელმწიფოს ნაცვლად გვევლინება რამდენიმე პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი და დღითი დღე ვუბრუნდებით მდგომარეობას „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“, სადაც ყოფილი მტრები მოკავშირეები, ხოლო მოკავშირეები მტრებად მოგვევლინება.

II თავი. ს.ს.რ.კ-ს დაშლა და პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური არჩევანი

2.1. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები

1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველო საერთაშორისო იზოლაციაში მოაქცია, რაც შიდა არეულობის შედეგი იყო. აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება 1992 წლის აპრილამდე გადაიდო, საქართველოს პირველი არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ძალადობრივი გზით შეცვლისა და თბილისში საქართველოს ყოფილი ლიდერის, ედუარდ შევარდნაძის, ჩამოსვლის შემდგომი პერიოდისათვის. იმ დროს ამერიკის ყურადღება რუსეთზე იყო ორიენტირებული.

აღსანიშნავია, რომ ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა ამერიკის მხარდაჭერა, იმისათვის, რომ მიეღწია ეთნიკური და სამოქალაქო კონფლიქტების შედეგად დანაწევრებული სახელმწიფოს სტაბილიზაციისათვის. სახელმწიფო მდივანი, ჯეიმს ბეიკერი საქართველოს 1992 წლის მაისში ეწვია. ამერიკის მთავრობა, ისევე, როგორც დასავლეთის სხვა მთავრობები, არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დომინანტურ სამშვიდობო როლს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებისათვის მისაღები იყო ასეთი შეთანხმება, ამავდროულად ის ფაქტიც, რომ კავკასიის რეგიონში სასიცოცხლო გეოსტრატეგიული ინტერესები არ იყო დაცული,როგორც ჩანს, ამგვარი

დამოკიდებულების მთავარ მიზეზებს წარმოადგენდა. ვაშინგტონი[7] არ იზიარებდა მოსკოვის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის „ახლო საზღვარგარეთის“ ნაწილი იყო; მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ მათ, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის საფუძველზე, სტაბილურობის შენარჩუნების საერთო ინტერესი ჰქონდათ. 1990-იანი წლების ამერიკის ადმინისტრაციის თვალსაზრისით, რუსეთის ჩართულობას შეეძლო გაეზარდა გაერო-სა და ეუთო-ს მიერ განხორციელებული საშუამავლო ძალისხმევის ეფექტიანობა. რუსეთი განსაკუთრებულად კარგად იცნობდა ადგილობრივ პოლიტიკურ ვითარებას და ძლიერი ბერკეტები გააჩნდა ყველა მხარეზე ზემოქმედებისათვის. რუსეთმა ხაზგასმით აღნიშნა თავის მზადყოფნა, ეთანამშრომლა სხვა ქვეყნებთან.უფრო მეტიც, მან გამოიყენა დსთ-ის ფორმატი აფხაზეთში თავისი სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად. თუმცა, ის ფაქტი, რომ გაერო–ს უშიშროების საბჭომ არ გასცა თანმხობა სერბიის წინააღმდეგ ნატო-ს სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, თავისთავად პრობლემას წარმოადგენდა. ედუარდ შევარდნაძემ დაუშვა, რომ კონკრეტულად, აფხაზეთის შემთხვევაში რუსეთს, როგორც ვეტოს უფლების მქონე ქვეყანას გაერო-ს უშიშროების საბჭოში, მხარი უნდა დაეჭირა ამგვარი ოპერაციისთვის. რუსეთის მხარდაჭერის გარეშე, ამგვარი სახის ინტერვენცია აფხაზეთში წარმოშობდა ახალ საერთაშორისო კონფლიქტს, რომელის სურვილიც ნატო-ს წევრებს არ ექნებოდათ. ამდენად, მან გამოიჩინა წინდახედულება და უარყო ცალმხრივი ქმედების აუცილებლობლობა.

[7] დევდარიანი, ჯ. “საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისკენ”, თბილისი, 2006, გვ: 224-229.

2.2. საქართველოს გაწევრიანება დ.ს.თ-ში

1992 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგსაქართველოში ედუარდ შევარდნაძე ბრუნდება. მისი დაბრუნების შემდეგანხორციელდა საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებასაერთაშორისო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლიდან 12 თვისგანმავლობაში დსთ-ში შესვლამდე და სოხუმის დაცემამდე, რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებისადმი წინააღმდეგობით გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა,რომ საწყის ეტაპზე შევარდნაძის პოლიტიკა დსთ-სთან მიმართებაშირადიკალურად არ განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან. თუმცა, შევარდნაძეაგრძელებდა საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების მოთხოვნისადმიწინააღმდეგობას და დღის წესრიგში საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანისსაკითხიც კი დააყენა. იმ პერიოდში შევარდნაძე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ დსთ-ში პოლიტიკური და სამხედრო ინტეგრაცია საქართველოს ინტერესებსეწინააღმდეგებოდა. ამავე პერიოდში რუსეთის ძალადობრივი დიპლომატია რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. პირველი, რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტშიმხარს სეპარატისტებს უჭერდა. შევარდნაძეს სერიოზული ეჭვები ჰქონდა, რომ რუსეთისამხედრო მხარდაჭერას ზვიად გამსახურდიას მომხრეებსაც უწევდა. რუსეთი ასევე მხარს უჭერდა სეპარატისტებს „სამხრეთ ოსეთში“, სადაცკონფლიქტმა ესკალაციას 1991-1992 წლებში მიაღწია. ანალიტიკოსთა ერთინაწილი ღიად საუბრობდა ამ კონფლიქტში რუსეთის ინტერესებზე და იმასაცამბობდა, რომ რუსეთი პირდაპირ იყო ჩართული სამხედრო

მოქმედებებში.ანალიტიკოსთა მეორე ნაწილი კი ამ კონფლიქტში რუსეთის პირდაპირმონაწილეობას სადავოდ მიიჩნევდა და ამას ხსნიდა იმ ფაქტით, რომ იმ პერიოდში, როცა კონფლიქტი დაიწყო, რუსეთის საგარეო პოლიტიკასაქართველოსთან მიმართებაში ჯერ კიდევ სათანადოდ ფორმულირებული არ იყო. თუმცა 1992 წლის მაის-ივნისში უკვე შესამჩნევი გახდა რუსეთის დაინტერესება საქართველოს ამ რეგიონში მიმდინარე პროცესებით. კერძოდ, რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა და ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე რუცკოიმ წამოიწყეს საუბარი „სამხრეთ ოსეთის"რუსეთთან მიერთების საკითხთან დაკავშირებით. ხასბულატოვის განცხადებით„რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რომ მან არ დაუშვას მისი მოქალაქეებისუფლებების დარღვევა. ამ განცხადებაში რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე „სამხრეთ ოსეთს" მოიაზრებდა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებადამიანებსაც, რუსეთის მოქალაქეებად მიიჩნევდა. კიდევ უფრო მეტი,ხასბულატოვი შევარდნაძეს თბილისის დაბომბვითაც დაემუქრა, იმ შემთხვევაშითუ ქართული მხარე სამხედრო მოქმედებებს არ შეწყვეტდა „სამხრეთ ოსეთში". შევარდნაძის ხელისუფლება დასავლეთიდან ელოდა დახმარებას სამოქალაქო და ეთნიკურ ომებში გახვეული ქვეყნის პრობლემების გადასაჭრელად და შესამსუბუქებლად. თუმცა, რაკი ამ იმედმა არ გაამართლა, შევარდნაძე ნელ-ნელა დაადგა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას. 1993 წლის 27 სექტემბერს შიდა და საგარეო დაძაბულობის ფონზე შევარდნაძე რუსეთის პრეზიდენტს, ბორის ელცინს უგზავნის ტელეგრამას და თანხმდება საქართველოს დ.ს.თ-ში გაწევრიანებას.მოგვიანებით შევარდნაძე ამ გადაწყვეტილებას აღწერდა, როგორც „საქართველოს დაჩოქებას". ამ გადაწყვეტილებას მოყვა საქართველოში ოთხი რუსულისამხედრო ბაზის ჩამოყალიბება[8] და 1994 წლის მარტში რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა „მეგობრობის, მეზობლობისა და

[8] Tracey C. German, „Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and the USA", Conflict Studies Research Cente,.2004. p:6-11

თანამშრომლობის“ ხელშეკრულებას. ამავე პერიოდში რუსეთის მთავრობა სანქციების სერიას წამოიწყებს აფხაზეთის წინააღმდეგ, რაც აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრისა და სოხუმის აეროპორტის დახურვით გამოიხატა. ბევრი ანალიტიკოსის მიერ შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც კაპიტულაცია საფრთხის წყაროსთან. თუმცა, თუ ამ გადაწყვეტილების უფროდეტალურ ანალიზს მოვახდენთ აღმოვაჩენთ, რომ მიტმასნების არჩევანიბოლომდე ნეგატიური გაგებით არ უნდა განვიხილოთ.

დსთ-ში შესვლა შევარდნაძემ ორი მიმართულებით გამოიყენა. პირველი, მან დააშოშმინა საგარეო აგრესორი და მეორე, ამავე საგარეო აქტორის გამოყენებით შეძლო სახელმწიფოში შედარებითი სტაბილურობის დამყარება და საკუთარი რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. დავეთანხმები, იმ კვლევათა ჯგუფს, რომელიც აღნიშნავს, რომ საქართველოს დ.ს.თ-ში შესვლა საფრთხის წყაროსთან მიტმასნების კლასიკური შემთხვევა იყო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მიტმასნების სტრატეგიას მაშინ ირჩევს, როცა სხვა მოკავშირეები არ ყავს და სხვა არჩევანი არ აქვს. აფხაზეთში ომის მიმდინარეობისას შევარდნაძემ წერილობით მიმართა გაეროს გენერალურმდივანს კონფლიქტის ზონაში გაეროს სამშვიდობო ძალების განთავსების შესახებ.თუმცა, პასუხი გაეროდან იყო, რომ ჯერ ამგვარი პროექტის განსახორციელებლადშესაბამისი დრო არ იყო დამდგარი. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ 1990-იანი წლების შუახანებამდე ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოკვეთილი და თანმიმდევრული პოლიტიკა ზოგადად რეგიონთან მიმართებაში არ ჰქონდათ შემუშავებული. ამის მიზეზად ზეინო ბარანი ასახელებს იმ ფაქტს, რომ ამერიკაში პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად იცნობდა რეგიონს. საქართველო, რომელიც მთელი იმ პერიოდის განმავლობაში იყო სუსტი სახელმწიფო, რომელსაც სხვა მოკავშირე არ ყავდა და რომელიც თვლიდა,რომ დსთ-ში გაწევრიანებით, შეძლებდა

აგრესორის დაშოშმინებას, მიტმასნების სტრატეგიას ირჩევს. თუმცა, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან სურათი ერთგვარად იცვლება. თუ 1995 წლამდე რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაში ძირითადად ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტი ზღუდავდა, 1995 წლიდან რეგიონში რუსეთს აშკარა კონკურენტები გამოუჩნდა დასავლეთის სახელმწიფოების სახით.

2.3. საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

საქართველო-ევროკავშირი

1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და, ძირითადად, შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების

მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს.

შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამავე მუხლში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებიც უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, ესენია: ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, კომპანიათა ანგარიშები და გადასახადები, ინტელექტუალური საკუთრება, დასაქმებულთა დაცვა სამუშაო ადგილებზე, ფინანსური მომსახურება, კონკურენციის წესები, სახელმწიფო შესყიდვები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არაპირდაპირი დაბეგვრა, ტექნიკური წესები და სტანდარტები, ბირთვული კანონმდებლობა და ტრანსპორტი და სხვა. ამასთანავე, შეთანხმების 44-ე მუხლი საგანგებოდ საუბრობს კანონმდებლობის დაახლოებაზე კონკურენციის სფეროში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შეთანხმების შემდგომ საქართველომ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა TACIS – ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის. იგი ვრცელდებოდა შემდეგ ქვეყნებზე: აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი. 2007 წელს TACIS -ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა. აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა[9] უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. პროგრამა TACIS -ის დაწყებისას ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთოების პრიორიტეტების დაკმაყოფილება. TACIS -ის დახმარების ძირითადი ელემენტი იყო ევროკავშირში არსებული ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისთვის. ზოგადად, პარტნიორი კომპანია (კონტრაქტორი) ევროკავშირიდან მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციასთან (სამთავრობო ან არასამთავრობო) TACIS-ის ქვეყანაში კონკრეტულ პროექტზე. საქართველოში TACIS-ის საქმიანობა

[9]ძიძიგური,ნ. „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, თბილისი, 2017.გვ:99-112.

ეხმარებოდა ევროკავშირის ზოგად სტრატეგიას, გაეძლიერებინა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მისი სვლა საბაზრო ეკონომიკისა და კარგად განვითარებული დემოკრატიისკენ.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად ეწოდება ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა, ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც

საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები:

საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა: დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: პოლიტიკური დიალოგისა და თა-ნამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის - შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა;

მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება: სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღ მდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ტერორიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა;

დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა: თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.

ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ[10] შეთანხმების შესაბამის ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას, მათ შორის -შესაბამის ეტაპზე უვიზო რეჟიმის შემოღებას. უნდა აღინიშნოს, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დამოუკიდებელი პროცესია და საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ეფექტიანი შესრულება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურების ძირითადი ინსტრუმენტია.

[10] http://infocenter.gov.ge12/05.2018

საქართველო და ნატო

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი,

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ზოგმა კვლავ მოსკოვის ორბიტაზე ამჯობინა დარჩენა, ზოგიერთმა კი დასავლეთის მიმართულებით განაგრძო განვითარება. აღნიშნული რესპუბლიკებიდან დღეისათვის დასავლური სამყაროს ნაწილი მხოლოდ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი გახდნენ. შესაბამისად, დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა მაგალითი საყურადღებო და იმედისმომცემია.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველომ დასავლური კურსი აირჩია, გამოთქვა რა სურვილი, ეთანამშრომლა ევროკავშირსა და ჩრდილოატლან ტიკურ ალიანსთან, თუმცა ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა შეაფერხა საქართველოს დასავლური განვითარება, შედეგად საქართველოს ინტეგრაციის პროცესი ისე სწრაფად ვერ წარიმართა, როგორც ბალტიის ქვეყნების შემთხვევაში.

საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნა. აღნიშნულის მისაღწევად დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განისაზღვრა

2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Action Plan) ეს გულისხმობდა დროში გაწერილ

სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. მართალია, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენდა ალიანსში გაწევრიანების მექანიზმს, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების წარმატების თვალ საზრისით, IPAP-ის ფარგლებში ალიანსთან თანამშრომლობა დიდ მნიშვნელობას იძენდა. დოკუმენტი ითვალისწინებდა რეფორმების გატარებას მთელ რიგ სფეროებში და მოითხოვდა საქართველოს მთავრობის ერთიან და კოორდინირებულ ძალისხმევას მათი ეფექტიანი განხორციელებისთვის. IPAP-ის შესრულების ყოველწლიური შეფასება ნატოს საერთაშორისო სამსახურს ევალებოდა. 2004-2008 წლებში სულ 5 შეფასება მივიღეთ (4 ოფიციალური და 1 არაოფიციალური). ყველა მათგანი პოზიტიური იყო. საქართველოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2006 წლის 21 სექტემბრიდან ალიანსმა დაიწყო საქართველოსთან თანამშრომლობა გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე (2-4 აპრილს) ნატოს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. ბუქარესტის სამიტის პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება, შეფასდეს ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და მნიშვნელოვან გზავნილად ნატოში გაწევრიანების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შემდეგ მოკავშირეებმა გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს მთელი რიგი სფეროების რეაბილიტაციაში დასახმარებლად და მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC - NATO-Georgia Commission) შექმნის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისა და დახმარების პროცესის ზედამხედველობისთვის. ამავე წლის სექტემბერში ჩრდილოატლანტიკური

საბჭოს (NAC - North Atlantic Council) საქართველოში ორდღიანი ვიზიტის შედეგად (2008 წლის 15-17 სექტემბერი) ხელი მოეწერა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმენტს, ხოლო დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკის პრაქტიკიდან გამომდინარე, წლიურ ეროვნულ პროგრამას ახორციელდება მხოლოდ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (Membership Action Plan) ჩართული ქვეყნების მიერ, აქედან გამომდინარე, საქართველოს მაგალითი უპრეცედენტოა. წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება ხელს უწყობს ქვეყნის ნატოს სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას. ამჟამად საქართველო ასრულებს წლიური ეროვნული პროგრამის VII ციკლს (2015 წლის მდგომარეობით). უნდა აღინიშნოს, რომ ANP-ის ყველა შეფასება, რომელიც ყოველწლიურია და ალიანსი ზედმიწევნით ყურადღებით ახორციელებს, პოზიტიური იყო.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალი, რომლის შედეგად საქართველო მოხსენიებულ იქნა ასპირანტ ქვეყნად მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია 2012 წელს ჩიკაგოს სამიტზე ქართული მხარის მონაწილეობა ყველა შეხვედრაში (გარდა უშუალოდ ნატოს წევრი სახელმწიფოების შეხვედრისა). ჩიკაგოს სამიტის შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობამ ახალ ეტაპზე გადაინაცვლა; მოხდა საქართველოს დაჯგუფება ასპირანტ ქვეყნებთან, ანუ ბალკანეთის იმ ქვეყნებთან, ვისაც წევრობის აშკარა პერსპექტივები აქვთ (იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, ბოსნია-ჰერცეგოვინა,

მონტენეგრო). ამასთანავე, ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს, ზოგადად, ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ხაზგასასმელია, რომ საქართველოში შედგა ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს სამი ვიზიტი - 2008, 2011 და 2013 წლებში, რაც საქართველოს მიმართ ალიანსის ურყევი პოლიტიკური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი დადასტურებაა. 2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ნატოს არსებითი შესაძლებლობების პაკეტი.

არსებითი შესაძლებლობების პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებები ხორციელდება სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე, 13 მიმართულებით: სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა, ავიაცია, საჰაერო თავდაცვა, საზღვაო უსაფრთხოება, სტრატეგიული კომუნიკაციები, სპეციალური ოპერაციები, სამხედრო პოლიცია, კიბერთავდაცვა, შესყიდვები, დაზვერვა. პაკეტი ასევე ითვალისწინებს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დაარსებას, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ეფექტიან მუშაობას ადგილზე მრავალეროვნული (როგორც ნატოს წევრი, ასევე პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით) წვრთნისა და სწავლების გზით. არსებითი შესაძლებლობების პაკეტის კომპონენტები იმართება პროექტის მმართველი ჯგუფისა და ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების ექსპერტების მიერ და მასში ჩართულები არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის წარმომადგენლები. მას უშუალოდ მართავს ექსპერტთა ძირითადი ჯგუფი, რომელიც განთავსებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და უზრუნველყოფს პროექტების შესაბამისობას, სათანადო კოორდინირებასა და საჭირო რესურსების მობილიზებას.

უელსში მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, რითაც კვლავ გაესვა ხაზი ბუქარესტის 2008 წლის სამიტის

გადაწყვეტილებას. ამასთანავე, ნატოს კომუნიკეში ჩაიწერა, რომ საქართველოს აქვს ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა გაწევრიანების გზაზე ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის. ეს ინსტრუმენტებია: ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მხრივ უმნიშვნელოვანესია 2015 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა.

2008 წელს, ბუქარესტში[11] გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ ვერ მიიღო გაწევრიანების სამოქმედო გეგმა. ამ ყველაფერთან ერთად, ერაყში ომის გამო გაძვირდა ნავთობი, რამაც ძალიან გააძლიერა პუტინის რუსეთი. ამ უკანასკნელმა ბუქარესტის სამიტზე ალიანსში ერთსულოვნების არარსებობა მისთვის სასიკეთო სიგნალად ჩათვალა, რასაც საქართველოში აგვისტოს ომი მოჰყვა. ეს სერიოზული დარტყმა იყო საქართველოზე, რომელიც იქამდე სხვა ყველაფერთან ერთად, სწრაფი ტემპით მიდიოდა ნატოსკენ. 2006 წელს უკვე ითვლებოდა, რომ ქვეყანა მეტად წარმატებით ახორციელებდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას და საჭირო იყო ნატოსთან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა. გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში საქართველოს ჩართვა ნაადრევი ჩანდა და ამიტომ, ქვეყანა ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ეტაპზე გადავიდა. იგივე ეტაპზე იმყოფებოდა ნატოში გაწევრების კიდევ ერთი მსურველი ქვეყანა უკრაინა. ამასთანავე, უკრაინის საქართველოსთან დაწყვილებამ პოზიტივთან ერთად გარკვეული ნეგატივიც მოიტანა, რადგან ამ ქვეყანაში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი არ უჭერდა მხარს ნატოში ინტეგრაციას. ამას კი მშვენივრად იყენებდა რუსეთი,

[11] კაპანაძე, ს. „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბილისი, 2006, გვ:67-69.

რომლისთვისაც უკრაინის ალიანსში გაწევრიანება კიდევ უფრო მეტად მიუღებელი იყო, ვიდრე საქართველოსი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა-საქართველოს ჯაჭვში უფრო სუსტ რგოლს საქართველო წარმოადგენდა და რუსეთმაც აგრესია სწორედ საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა. რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა მედვედევმა მოგვიანებით, პირდაპირ აღიარა, რომ 2008 წელს რუსეთი საქართველოს იმიტომ დაესხა თავს, რომ ალიანსის გაფართოებინა. ცხადია, ომის შედეგებმა (საქართველოს რეგიონების ოკუპაციამ) გაართულა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი. თუმცა, პროცესი ნამდვილად არ შეჩერებულა. სულ მალე, ომის შემდეგ შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, რომელსაც მიენიჭა მთავარი საზედამხედველო ფუნქცია ნატოს ბუქარესტის სამიტზე დაწყებული პროცესის წარმართვაში. 2008 წლის დეკემბერში ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო შეიმუშავებს წლიურ ეროვნულ პროგრამას , რომელშიც ასახული იქნება საქართველოს განვითარების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამხედრო რეფორმა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება და სხვა.

საქართველო შეუერთდა ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ალიანსის წევრებს (უპირველესად, ამერიკას) და თანამშრომლობა არა მხოლოდ გაგრძელდა, არამედ მას კონკრეტული, ხელშესახები შედეგებიც მოჰყვა. მაგალითად, 2015 წელს საქართველოში გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი.

ნატოს ყოველ სამიტზე ალიანსი აცხადებს, რომ იგი კვლავაც ადასტურებს ბუქარესტის სამიტზე აღებულ ვალდებულებას, ოდესღაც საქართველო აუცილებლად მიიღოს თავის რიგებში. რუსეთის ყველა მცდელობის

მიუხედავად, ორმხრივი თანამშრომლობა მაინც წინ მიდის. 2014 წლის უელსის სამიტზე საქართველომ ე. წ. არსებითი პაკეტი მიიღო, რომელიც ითვალისწინებს მისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. 2016 წელს, ვარშავაში გამართულ სამიტზე გადაწყდა, რომ ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებას, რაც ცხადია, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ჩემი აზრით, საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ნატოს არაწევრი ქვეყანა, რუსეთის სახით, ხელს ვერ შეუშლის. ნატოში გაწევრიანება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დამოუკიდებელი არჩევანია. ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის უფლება. ნატოში ქვეყნის გაწევრების გადაწყვეტილებას, ალიანსის წევრი სახელმწიფოები კონსესუსის საფუძველზე იღებენ.

ნატო არ არის, თავდასხმითი, არამედ თავდაცვითი ორგანიზაციაა და მისი მთავარი პრინციპი წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნატო წევრი ქვეყნების უსაფრთხოებას ალიანსის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლით არეგულირებს, რომლის მიხედვითაც, ერთ წევრზე თავდასხმა მთლიანად ალიანსზე თავდასხმად განიხილება. როცა საქართველო ნატოს წევრი გახდება, ნატოს მეხუთე მუხლი საქართველოზეც გავრცელდება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოზე რუსეთის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის მხრიდან სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში, ნატო აიღებს ვალდებულებას, დაიცვას საქართველო და შესაბამისად უპასუხოს აგრესორს, მაგრამ თუ როგორ განვითარდება მოვლენები, გახდება თუ არა ჩვენი ქვეყანა ნატოს წევრი, ამას უახლოეს მომავალში ვნახავთ.

III თავი. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის გლობალური ხედვა

3.1. ომის გამომწვევი მიზეზები

2008 წლის ომი იყო სამი სხავდასხვა ფაქტორის ერთობლიობა, რამაც გამოიწვია ეს დაპირისპირება. პირველი ეს იყო იმ ლოკალური კონფლიქტის გაგრძელება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვა აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. ეს იყო ამ გარდამავლი პერიოდის, არათანმიმდევრული და არაორგანიზებული ხელმძღვანელობის პერიოდში დაწყებული ლოკალური კონფლიქტი, რომელიც შემდგომ ეროვნულ-ტერიტორიულ კონფლქიტად გადაიქცა რუსეთსა და საქართველოს შორის. განსაკუთრებით ეს ვარდების რევოლუციის შემდეგ გამწვავდა, მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოვიდა. ის ცდილობდა, საქართველო მკვეთრად დასავლური ორიენტაციის გზაზე გადეყვანა, რომ ქვეყანა რუსეთის გავლენისგან გამოსულიყო. შესაბამისად, ამ კონფქლიტიდან წარმოიქმნა რეგიონალური კონფლიქტი, სადაც ერთ მხარეს რუსეთია, ხოლო მეორე მხარეს საქართველო და დასავლეთი, ის ქვეყნები რომლებიც საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას უჭერდა მხარს. აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ მედვედევმა თავის გამოსვლაში რუსეთის გავლენის სფეროებზე და ასევე დასავლეთის ინტერესებზე და გავლენაზეც ისაუბრა რეგიონში. აგვსიტოს ომში სწორედ ამ სამი ფაზის ერთობლიობაა - ადგილობრივი, ნაციონალური და და გეოპოლიტიკური კონფლიქტი. ამიტომაც არის ეს ომი ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა.

პირველ რიგში აუცილებელია, განვიხილოთ ის კონკრეტული ინტერესები, რაც აქვს დასავლეთს საქართველოსთან. ამისთვის საქართველოს, როგორც ცალკე სახელმწიფოს ვერ განვიხილავთ, არამედ აუცილებელია მისი კავკასიის რეგიონის კონტექსტში ანალიზი.

გეოპოლიტიკის თეორიის მიხედვით,[12] კავკასია წარმოადგენს ე.წ. ჰართლენდის ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ რეგიონს აზიისკენ უმოკლესი სავაჭრო გზის გასახსნელად. აზიაში კი, პირველ რიგში, მოიაზრება ცენტრალური აზია და შორეული ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი. ამასთან ერთად, როგორც ვიცით, ევროკავშირის მიერ იმპორტირებული ნავთობის უდიდესი წილი სპარსეთის ყურის არასტაბილურ რეგიონზე მოდის, ხოლო იმპორტირებული გაზის 2/3 კი რუსეთზე, რაც ევროკავშირის დამოკიდებულს ხდის, როგორც რუსეთზე, ისე სპარსეთის ყურის ნავთობმწარმოებელ სახელმწიფოებზე. 2005 წელს გაზის ფასით მანიპულირების შემდეგ და ასევე ირანის ბირთვული პროგრამის დაწყების შემდეგ, ევროკავშირმა დაიწყო ალტერნატიული წყაროების ძიება და ეს წყარო აზერბაიჯანი აღმოჩნდა. შესაბამისად, საქართველო უკვე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო დასავლეთისთვის, რადგან სწორედ საქართველოზე გაივლიდა აზერბაიჯანიდან ტრანსპორტირებული ნავთობი და გაზი. ამ მიზნის მისაღწევად დაიწყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხილვა, თუმცა, ზოგიერთი მათგანი ვერ განხორციელდა, მოხდა მათი მოდიფიკაცია და სახეზე გვაქვს უფრო რეალური პროექტები, მაგალითად შაჰ დენიზის მეორე ფაზა.

საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი და საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობა წლიდან წლამდე იზრდებოდა, რაც ნიშნავდა საქართველოს მხარდაჭერას საერთაშორისო ასპარეზზე, შესაბამისად, ეს რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა და ჩვენი ყოველი წარმატება რუსეთის პოლიტიკას ამკაცრებდა.

[12]მედულაშვილი,ე. „NATO და ევროკავშირი – საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტეტები",თბილისი,2015. გვ: 15-18.

რაც შეეხება სხვა ინტერესებს ეს უმთავრესად NATO-ს უკავშირდება. ამ ორგანიზაციასაც თავისი გრძელვადიანი გეოპოლიტიკური გათვლები აქვს საქართველოსთან და ზოგადად კავკასიასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი გათვლაა ცივი ომის დროინდელი სტრატეგიის, „ანაკონდას“ გეგმის, განხორციელება. აღნიშნული გეგმა გულისხმობდა საბჭოთა კავშირისთვის, დღეს უკვე რუსეთისთვის, სტრატეგიულად მნიშვნელოვან წყლებზე გასასვლელის ჩაკეტვას. ამასთან ერთად, საქართველო და კავკასია უშუალოდ ესაზღვრება NATO-ს ერთ-ერთ წევრ თურქეთს და კავკასია იყო ერთგვარი ბუფერული ზონაა რუსეთსა და NATO-ს შორის. კიდევ ერთი ინტერესი ჩვენი ქვეყნით გამოწვეულია ავღანეთისა და ირანის საკითხით. ალიანსის პოლიტიკა დამყარებულია „სწრაფი რეაგირების“ სტრატეგიაზე, რის გამოც აუცილებელია, რომ მას წვდომა ჰქონდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებზე, როგორიცაა თუნდაც სამხრეთ კავკასია. ირანის ბირთვული პროგრამის ამოქმედების შემდეგ განიხილებოდა სცენარი ირანთან შესაძლო ომით და საქართვლო ერთგვარი პლაცდარმი იქნებოდა ალიანსის ძალებისთვის, ამასთან ერთად ავღანეთში NATO-ს ძალების მომარაგება სწორედ საქართველოს გავლით უნდა მომხდარიყო. ალიანსსა და საქართველოს შორის წარმატებული იყო 2004 წელი, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას NATO-სთან. საქართველო მაქსიმალურად ცდილობდა ალიანსის სტანდარტების დაკმაყოფილებას და მხარდაჭერის მოპოვებას, ამისთვის ISAF-ის სამშვიდობო მისიაშიც კი ჩაერთო. აღნიშნული დაახლოება ისახებოდა როგორც ქვეყნის საერთაშორისო მხარდაჭერაში, ასევე სამხედრო პოტენციალისა და შიდა სტაბილურობის გაზრდაში, რაც რეგიონში, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ცვლიდა ძალთა ბალანსს საქართველოს სასარგებლოდ. საქართველო და ზოგადად კავკასია

იყო ერთგვარი ბუფერული რეგიონი რუსეთსა და NATO-ს შორის, ამ რეგიონში ალიანსის შემოსვლა, რუსეთის გათვლებით, უშუალოდ ემუქრებოდა მის უსაფრთხოებას, რაც რუსეთის ეროვნული თავდაცვის იმდროინდელ კონცეფციაში. როგორც ევროკავშირთან, განსაკუთრებით NATO-სთან საქართველოს დაახლოება ამკაცრებდა რუსეთის პოლიტიკას და აშკარად იყო, რომ რუსეთი მხოლოდ დიპლომატიური გზებით არ ეცდებოდა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სწრაფვის შეჩერებას.

რუსეთმა აქტიურად დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის არმიის გაძლიერება თანამედროვე ტექნიკით, პარალელურად კი საქართველოში აწყობდა დივერსიებს და ჯაშუშების მთელ არმიას აგზავნიდა. საქართველოს ერთგვარი წარმატება იყო რუსული ბაზის გაყვანის კატეგორიული მოთხოვნა, რომელმაც შედეგი გამოიღო, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთი მხრიდან ეს დათმობა მხოლოდ თვალის ასახვევად და საქართველოს ყურადღების მოსადუნებელი ნაბიჯი იყო. 2006-2007 წლებში დაიწყო ურთიერთობების დაძაბვა, რაც ჯაშუშების სკანდალებს, კოდორის ხეობის ამბებისა და NATO-საქართველოს დაახლოების გამო იყო გამოწვეული. გორის დაკავება შეიძლება ერთგვარ მინიშნებად მივიჩნიოთ, რადგან, რასაკვირველია, რუსეთი სწორად აფასებდა ყველა იმ საფრთხეს, რაც ჩვენი დასავლეთთან დაახლოებით ელოდა. როგორც ზემოთ ვახსენე, ევროკავშირის ენერგეტიკა თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო რუსეთზე, რაც ამ უკანასკნელს დიდ ბერკეტს აძლევდა საკუთარი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის განსახორციელებლად და ამ ბერკეტს რუსეთი ძალიან კარგად იყენებდა. შესაბამისად, როდესაც ევროპა გამოძებნიდა ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს, რუსეთის ზეწოლის ბერკეტიც აზრს დაკარგავდა, რაც რუსეთს ნამდვილად არ აწყობდა. სწორედ, ამიტომ ცდილობდა და დღემდე ცდილობს მოსკოვი, რომ ჩაშალოს ყველა

სატრანზიტო პროექტი, რომელმაც სამხრეთ კავკასიაზე უნდა გაიაროს. ამის მიღწევას ხან ალტერნატიული, საკუთარი პროექტებით ცდილობს, ხან კი, როგორც ვნახეთ და საკუთარ თავზე გამოვცადეთ, ომით. ამ ომით რუსეთმა არა მარტო დასავლეთზე ზეწოლის ბერკეტები გააძლიერა, არამედ ცენტრალურ აზიაშიც გაიმყარა პოზიციები. ცენტრალური აზიიდან დასავლეთისკენ მიმავალი სავაჭრო გზა ან რუსეთს გაივლის ან სამხრეთ კავკასია. რუსეთს არ სურდა, რომ მასზე გამავალი ნავთობისა და გაზის მილები სამხრეთით გადანაცვლებულიყო და შესაბამისად, პოსტ-საბჭოთა სივრცის ამ უზარმაზარ რეგიონზე დაეკარგა პოლიტიკური და ეკონომიკური კონტროლი. ერთი მიზეზი იყო ევროკავშირზე ზეწოლის ბერკეტების დაკარგვა, ხოლო მეორე მიზეზი უშუალოდ რუსეთის უსაფრთხოებას ეხება.

როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასია ერთგვარი ბუფერული ზონა იყო რუსეთსა და NATO-ს წევრ თურქეთს შორის. . პირველ რიგში, ამ ომით რუსეთმა, სამხრეთის საზღვარი გაიმაგრა, მეორე რიგში კი კავკასიის რეგიონში პოზიციები გაიმყარა, რაც საშუალო ვადიან პერსპექტივაში გამოიყენა კიდეც. კავკასია, კერძოდ, კი სამხრეთ კავკასია, რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება. ამის მრავალი მიზეზი არსებობს და თითოეულის განხილვა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ომის შემდეგი მიზანი იყო ირანისთვის, როგორც მოკავშირისთვის, სტრატეგიული დახმარება. როგორც აღვნიშნე, საქართველო განიხილებოდა, როგორც პლაცდარმი ირანთან სამომავლო ომის შემთხვევაში. ასევე ამ ომით რუსეთმა დასავლეთს მკაფიო გზავნილი გაუკეტა, რომ საკუთარი ეროვნულ ინტერესებს ნებისმიერი გზით დაიცავდა და თითქოს დასავლეთს ''ურჩევდა'' შეენელებინა აღმოსავლეთისკენ სვლა. დღემდე გრძელდება ე.წ. ანაკონდას სტრატეგია

რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთმა კი 2008 წლის რამდენიმე დღიანი ომით თითქოს და გაარღვია მის გარშემო არსებული რკალი.

3.2. 2008 წლის ომის და საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა

2008 წლის აგვისტოს ომამდე, საქართველოს დეოკუპაციის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მიზნით, კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საქმეში აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირი, „ეუთ“-ო, „ევროპარლამენტი“, „ნატო“, „გაერო“, ასევე, სხვა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოს ხელისუფლებამ, რეგიონული კონფლიქტების მოწესრიგების პრიორიტეტულ საშუალებად, თავიდანვე, მისი დარეგულირების პოლიტიკურ-სამართლებრივი გზა აირჩია.

2008 წლის ომის შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა და მხოლოდ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აქვს უფლება, დააკვირდეს მოვლენებს დე ფაქტო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საზღვრის მხრიდან. 2009 წლის 15 ივნისს, რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლებით შეაჩერა „გაერო“-ს სადამკვირვებლო მისიის 16 წლიანი მუშაობა საქართველოში, რომლის მიზეზად რეგიონში არსებული ახალი რეალობა დაასახელა. რუსეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ აღარ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. 2008 წელს

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის - საფრანგეთის პრეზიდენტმა[13] ნიკოლა სარკოზიმ საქართველოს თავდასხმა ცხინვალზე შეცდომად შეაფასა და დასძინა, რომ რუსეთის პასუხი არაპროპორციული იყო. 2009 წლის 1 სექტემბერს, ევროკავშირის საგანგებო სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამ ორგანიზაციის დამკვირვებელთა პირველი ნაკადი საქართველოში 24 სექტემბერს ჩამოვიდა. 1 ოქტომბერს ევროკავშირის 22-მა წევრმა სახელმწიფომ 200-ზე მეტი დამკვირვებელი გამოგზავნა კონფლიქტის ზონაში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში მუშაობა 2009 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო. გადაწყვეტილება მისიის საქართველოში განთავსებაზე 2008 წლის 15 სექტემბერს სარკოზი-მედვედევის 6 პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის (12 აგვისტო) და შემდგომი დამატების (8 სექტემბერი) თანახმად მიიღეს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსული შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის გამო, ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობა მნიშვნელოვნად შეფერხდა. ევროსაბჭოს 2008 წლის 2 ოქტომბრის რეზოლუციით დაგმობილია ევროსაბჭოს ორ წევრ ქვეყანას შორის ომში ჩართვა, რადგან ორივე ქვეყანას ვალდებულება ჰქონდათ აღებული ყველა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ. რეზოლუციაში აღნიშნულია: „იმის გამო, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, გაფრთხილების გარეშე, ქართულმა სამხედროებმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყეს, ანუ მოხდა ესკალაციის ახალ საფეხურზე გადასვლა, ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს საომარი მოქმედებების დასაწყისად. მძიმე ტექნიკისა და სამხედრო აღჭურვილობის გაზრდა, მოქალაქეებისათვის სეროიზული საფრთხის შექმნა, საქართველოში შეიარაღებული ძალების არათანაბარი გამოყენება, იყო როგორც საერთაშორისო ნორმების, ასევე საქართველოს

[13] https://www.militarium.org,19/05/2018

ვალდებულების - მოეგვარებინა კონფლიქტი მშვიდობიანად, დარღვევა ამავე დროს, რუსეთის საპასუხო თავდასხმა, ასევე გრძელვადიანი სამხედრო მოქმედებები ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში, იყო პროპორციულობის პრინციპის დარღვევა, ასევე საერთაშორისო სამართლისა და ევროსაბჭოს პრინციპების დარღვევა, რომლის შესრულებაც ევალებოდა რუსეთის ფედერაციას, როგორც საბჭოს ერთ-ერთ წევრს. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის მცდელობა, რამდენადაც მან განახორციელა დარტყმები ქვეყნის ეკონომიკასა და სტარტეგიულ ინფრასტრუქტურაზე.

2009 წლის დეკემბერში ევროკავშირის პოლიტიკურმა და უსაფრთხოების კომიტეტმა (ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისგან დაკომპლექტებული ორგანო) მიიღო შიდა მოხმარების, არასაჯარო დოკუმენტი „აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ევროკავშირის არაღიარების და ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკის პარამეტრების შესახებ“. ამ ორი პრინციპიდან პირველი არის რეაქცია, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალმხრივ აღიარებაზე, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას ეფუძნება. მეორე მოტივირებულია კონფლიქტის რეგიონების „დეიზოლაციისაკენ“ მისწრაფებით, რაც ასევე გულისხმობს რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემცირებას, ალტერნატიული (ევროპული) ღირებულებებისგავრცელებას, ნდობის მშენებლობას, საქართველოს საერთო სივრცესთან მეტ ინტეგრაციას. ევროპარლამენტმა საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ 2008 წლის 5 ივნისს სპეციალური რეზოლუცია მიიღო, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის

(დსთ) ხელმძღვანელთა საბჭოს, 1996 წლის 19 იანვრის, გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ხელმომწერ ქვეყნებს ეკრძალებათ ნებისმიერი სახის სამხედრო თანამშრომლობა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან. 2008 წლის 1 სექტემბერს, ბრიუსელში, ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთასაბჭოს საგანგებო სხდომაზე, საბჭოს წევრებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში მომხდარი ღია კონფლიქტის გამო, რომელსაც რუსეთის მხრიდან ძალადობა და არაპროპორციული რეაქცია მოჰყვა. საგანგებო სხდომის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: „საქართველოში არსებულმა კრიზისმა ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გზის გასაყართან მიიყვანა. ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და რუსეთის ერთმანეთზე დამოკიდებულების და მათ წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების გათვალისწინებით, მჭიდრო ურთიერთობებზე უკეთესი არჩევანი არ არსებობს; ეს ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ნდობას და დიალოგს, კანონის უზენაესობის და იმ პრინციპების პატივისცემას, რომლებიც გაეროს ქარტიისა და ეუთოს მიერაა აღიარებული. ბრიუსელში, 2008 წლის 15-16 სექტემბერს, ევროპის კავშირის საბჭოს, საგარეო საქმეთა საბჭოს 2889-ე შეხვედრაზე, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მზადყოფნა გამოთქვეს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტის მცდელობის მხარდასაჭერად. საბჭომ მხარი დაუჭირა კონფლიქტის დამოუკიდებელი, საერთაშორისო გამოძიების იდეას. საბჭომ პიერ მორელი დანიშნა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად საქართველოში არსებული კრიზისის საკითხებზე. ევროკავშირის საბჭოს 1 სექტემბრის საგანგებო შეხვედრის დასკვნების შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა გაეგზავნა დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია საქართველოში,

ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროს შესაბამისად, რომელიც განთავსებული იქნებოდა 1 ოქტომბრისათვის, 8 სექტემბრის შეთანხმების პუნქტების შესაბამისად, „ეუთო“-სა და „გაერო“-სთან მჭიდრო კოორდინაციით და „გაერო“-ს დამკვირვებელთა მისიისა და „ეუთო“-ს საერთაშორისო მექანიზმების შესავსებად.

2010 წლის 8 სექტემბერს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინთონმა[14]

ვაშინგტონის საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ვერ შეეგუება. 17 სექტემბერს, „ნატო“-ს შტაბ-ბინაში გაიმართა „ნატო“-საქართველოს კომისიის სხდომა ელჩების დონეზე. სხდომაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების, რეინტეგრაციის საკითხები. ამას 5 ოქტომბერს მოჰყვა, აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის წლიური შემაჯამებელი შეხვედრა. ა.შ.შ-მ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა და რუსეთს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისკენ მოუწოდა. 16 ოქტომბერს „ნატო“- საპარლამენტო ასამბლეამ ოფიციალურად ცნო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის განდევნა ეთნოწმენდის გზით. 20 ნოემბერს ქ. ლისაბონში ჩატარებულ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მორიგმა სამიტმა, „ნატო“-ს სტრატეგიული კონცეფცია შეიმუშავა, რომლის მიხედვით, ნატოსაქართველოს პარტნიორობის განვითარება დაეფუძნება 2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ

[14] https://idfi.ge. 18/05/2018

გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად საქართველო გახდება ალიანსის წევრი სახელმწიფო.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით[15], მნიშვნელოვანი იყო, 2010 წლის 16 ნოემბერს, „ნატო“-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომლის თანახმად, რუსეთის ჯარების საქართველოში ყოფნა შეფასდა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ევროკავშირის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა და დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია. ევროკავშირი აქტიურად იღწვის, აიძულოს რუსეთის მთავრობა, სარკოზი მედვედევის შეთანხმება შეასრულოს და გაიყვანოს ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან, სადაც ის ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით იმყოფება. კონფლიქტის გადასაწყვეტად, ევროპის სახელმწიფოები, ორივე მხარეს მშვიდობიანი გზისკენ მიუთითებს. რუსეთის ხელისუფლება არღვევს საერთაშორისო კანონებს და აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. საქართველოს წინააღმდეგ დღესაც აქტიურად მოქმედებს, როგორც რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ძალები, ასევე მძლავრი რუსული პროპაგანდისტული მანქანა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს დააკნინოს საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების დარეგულირების საქმეში, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია კონფლიქტის დიდი ხნით გაყინვა და უფრო მეტიც, რუსეთი კონფლიქტის და მის ერთ-ერთ მხარედ წარმოჩინდა. რუსული აგრესიის შედეგად, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის სანაცვლოდ, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, ოკუპირებულია რუსეთის 58-ე არმიის მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციები უძლურნი აღმოჩნდნენ, საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრის 2016 წლის 8 სექტემბერს, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში 410 ხმით (6-ის წინააღმდეგ) დამტკიცდა

[15] ყალიჩავა,კ.“აგვისტოს ომის განხილვა ქართულ და ინგლისურ ენოვან ლიტერატურაში“, თბილისი, 2016. გვ:109-117.

საქართველოს მხარდამჭერი ორგანიზაციის რეზოლუცია, რომელიც აღიარებს, რომ რუსეთის მხრიდან, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია უკანონოა. დოკუმენტს მხარს უჭერენ, როგორც რესპუბლიკელი, ასევე, დემოკრატი კონგრესმენები. რეზოლუცია გმობს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას რუსეთის მიერ და მოუწოდებს ოკუპანტ ქვეყანას, დატოვოს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიები. როგორც რეზოლუციის განხილვის პროცესში გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, კონგრესმენები ამ დოკუმენტს განიხილავენ რუსეთისთვის და პირადად პრეზიდენტ პუტინისთვის, გაგზავნილ მნიშვნელოვან სიგნალად. აშშ-ის კონგრესის რეზოლუცია, რუსეთს მოიხსენიებს ოკუპანტ სახელმწიფოდ, რომელიც იგნორირებას უკეთებს სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებელ არჩევანს და რომელიც რეგიონში გავლენის სფეროების აღდგენისთვის ძალის გამოყენებით იბრძვის. 8 სექტემბერს დამტკიცებული რეზოლუცია კატეგორიულად გმობს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ინტერვენციას, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას.

ამავე დროს, კონგრესმენები მოუწოდებენ აშშ-ის მთავრობას, ერთმნიშვნელოვნად განაცხადოს, რომ შეერთებული შტატები არანაირ გარემოებებში არ აღიარებს რუსეთის ფედერაციის დე იურე თუ დე ფაქტო ძალაუფლებას „საქართველოს რომელიმე ნაწილზე, მის საჰაერო სივრცესა თუ მის ტერიტორიულ წყლებზე – მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე („სამხრეთ ოსეთზე“)“. კონგრესში დამტკიცებული რეზოლუციის ინიციატორები და თანაავტორები არიან საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეები – რესპუბლიკელი კონგრესმენი ტედ პო და დემოკრატი კონგრესმენი ჯერალდ კონოლი. კონგრესმენმა პომ, 8 სექტემბრის სხდომაზე, მკაცრად დაგმო რუსეთის აგრესიული პოლიტიკა.. აღნიშნულ რეზოლუციას დიდი მნიშვნელობა აქვს რადგან მასში გამოხატულია აშშ-ის ხელისუფლების ურყევი, მტკიცე პოზიცია, რომ ის არასოდეს შეეგუება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, საქართველოს აღიარებს, მხოლოდ საერთაშორისოდ ცნობილი

საზღვრების ფარგლებში და მტკიცედ დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთ გზად კვლავ რჩება მისი მშვიდობიანი გზებით გადაჭრა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით მიღებულ რეზოლუციებს და დადგენილებებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების მიერ, უკანონოდ აღიარებულ კონფლიქტურ რეგიონებს საქართველოს ნაწილად მიიჩნევენ და მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოსთვის ნატოს წევრობა არასოდეს ყოფილა გარანტირებული, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ევროპული ქვეყნების ყოყმანს, რომლებიც ანგარიშს უწევდნენ რუსეთის მკვეთრ წინააღმდეგობას. 2008 წლის ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველო (უკრაინასთან ერთად) სამომავლოდ გახდებოდა ალიანსის წევრი, საკმაოდ უღიმღამოდ მიღებულ კომპრომისს წარმოადგენდა. საბოლოოდ, საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა ამერიკული პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებთათვის. შეერთებულმა შტატებმა შეიძლება მხარი დაუჭიროს ალიანსში ქვეყნის გაწევრიანებას, მაგრამ აშშ-ს პოლიტიკა რეგიონში არ არის დამოკიდებული დასავლეთის სამხედრო ძალის მხარდაჭერაზე კავკასიასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ჩანს, რომ ამერიკული პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებები რუსეთის მხრიდან ამის უარყოფის საფასურს აფასებენ როგორც საკმაოდ დაბალს. მეორე: ომის შედეგად რუსეთის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკაში მხოლოდ რამოდენიმე, მცირე ცვლილება მოხდა.

განსაკუთრებით ბარაკ ობამას ახალმა ადმინისტრაციამ მიიჩნა, რომ 2008 წლის ომი უფრო ანომალიას წარმოადგენდა, ვიდრე იმის ნიშანს, რომ რუსეთი არ აპირებდა, გამხდარიყო „21-ე საუკუნის" სახელმწიფო. მათთვის ომი არ იყო იმ ფუდამენტური

ცვლილების მომასწავებელი, რომლითაც რუსეთი ცდილობდა, ბოლო მოეღო საქართველოსა და მთლიანად რეგიონში წლების განმავლობაში არსებული დინამიკისთვის. ამერიკელი გადაწყვეტყვეტილების მიმღებთა მოსაზრებით, რუსეთი ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია დასავლეთის გავლენის გაფართოებისთვის ძალის მინიმალური გამოყენებით და სწორედ ძალის ამგვარი გამოყენების უკიდურეს მანიფესტაციას წარმოადგენდა ომი, რომელიც ამავე დროს საქართველოს მთავრობის მიერ ძალის დაუფიქრებელმა გამოყენებამაც განაპირობა.

ომს თან არ მოჰყოლია დასავლეთის სამხედრო პოზიციების შეცვლა, სანქციები ან სხვა რაიმე სერიოზული ზომები. პირიქით, ომიდან შვიდი თვის თავზე ამერიკამ და რუსეთმა (ობამამ და მედვედევმა) ურთიერთობების „გადატვითვის" პროცესი დაიწყეს. ამერიკის მთავარი მიზანი გახლდათ, დაეყოლიებინა რუსეთი თანამშრომლობაზე ისეთ სფეროებში, რომლებიც ორივესთვის მომგებიან შედეგებს მოიტანდა. ეს სულაც არ იყო ის სურათი, რომელსაც სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ფრაიდი ხატავდა ერთი წლით ადრე. დაბოლოს, შეერთებული შტატები არ განიხლავდა რუსეთის გაზრდილ სამხედრო კონტინგენტს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში[16] მანამდე არსებული სტატუს კვოს ფუნდამენტურ ცვლილებად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის გაზრდილი სამხედრო ძალა რეგიონში საფრთხეს უქმნიდა საქართველოს, ამერიკული პოლიტიკის გადაწვეტილების მიმღებები სრულად ვერ აცნობიერებდნენ, რომ სამხედრო კონტინგენტი[17] დე ფაქტო რესპუბლიკებში წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას საქართველოში პროდასავლური პოლიტიკური კურსის შეცვლის ან სხვა ქვეყნებში მსგავსი სამხედრო მოქმედების წახალისებისა და ხელშეწყობისთვის. რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდული

[16] http://www.interpressnews.ge. 29/05/2018

[17] ასმუსი,რ. „მცირე ომი,რომელმაც მსოფლიო შეძრა",თბილისი,2016, გვ:56-60

იყო და შეერთებული შტატები რუსეთთან ჩართულობის პოლიტიკას უკეთეს ინსტრუმენტად მიიჩნევდა ძალის გამოყენების შეკავებისთვის, ვიდრე გაუცხოებას.

3.3. ომის შედეგები და ახალი მსოფლიო წესრიგი

2008 წლის ომის შედეგების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ევროპამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საქართველოსთან ერთად წააგეს ომი რუსეთთან. რუსეთის გამარჯვება და საკუთარი მიზნების ბოლომდე

განხორციელება ევროპის უსაფრთხოების სისტემისათვის მიყენებულ საკმაოდ ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა და ეს დღეისათვის უთუოდ კარგად აქვთ გააზრებული ევროპაშიც – უკრაინის კრიზისის მაგალითზე. სწორედ ამიტომ ევროპას აუცილებლად მართებდა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის გამო კრემლის მიმართ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, განურჩევლად იმისა, ეს იქნებოდა კაჩინსკისეული ბერლინპლუსის გეგმის განხორციელება თუ სხვა რამ.

მთავარი იმ დროს იყო ის, რომ რუსეთს არ გასჩენოდა დასავლეთისაგან მისი მოქმედებების შესაბამისი პასუხის გარეშე დატოვების შესაძლებლობის შეგრძნება. სამწუხაროდ, 2008 წელს რუსეთს ამგვარი შეგრძნება გაუჩნდა, რის შედეგსაც ჩვენ დღეს ვხედავთ უკრაინის კრიზისისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში საზღვრის საკუთარი სურვილის მიხედვით გადაადგილების მაგალითზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის მხარდაჭერით, ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ არაერთხელ მოახდინა ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრის ჩვენი ქვეყნის სიღრმის მიმართულებით გადაადგილება. რუსეთ-საქართვლოს ომის შედეგები, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: 2008 წლის აგვისტოს ომმა თვალნათლივ აჩვენა, რომ საქართველოს კონფლიქტი რუსეთის ფედერაციასთან და ამ კონფლიქტში ეთნიკური აფხაზი და ოსი საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის ხელისუფლებისმიერ გამოყენებულია საშუალებად, რასაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ჰქონდა ადგილი.აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ევროკავშირის მიერ ახალიფართომასშტაბიანი ინიციატივის - „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ შემუშავება. საქართველოს (ასევე უკრაინას, მოლდოვას, ბელორუსიას,

აზერბაიჯანსა და სომხეთს) ეს ინიციატივა ევროკავშირთან ფართო თანამშრომლობის უნიკალურ შანსს აძლევს. მართალია, დესტრუქციული გზით, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მაინც აღისრულა თავისი გეოპოლიტიკური ოცნება: 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის მთავრობის კაპრიზებს, მსოფლიოში უფრო მეტ ანგარიშს უწევენ.აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებით, რუსეთმათავისი მუქარა შეასრულა და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის სამაგიერო გადაუხადა დასავლეთს. მაგრამ, დღესაც გაუგებარი რჩება, თუ რატომ უნდა გამხდარიყო საქართველო გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლი. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთი ფაქტობრივად საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. გლობალური ამბიციების მქონე სახელმწიფოს მიერ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებას, მხოლოდ ისეთმა ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი, როგორიცაა ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ. სამხედრო ინტერვენციამ და შემდგომმა ნაბიჯებმა რუსეთი მსოფლიოს თვალშიწარმოაჩინა აგრესიულ და „რევიზიონისტულ დერჟავად“, რომელსაც ანგარიშს უწევენ უმთავრესად იმიტომ, რომ მას აქვს უხეში ძალა და ენერგორესურსები.ომმა და საქართველოს ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარებამ,დამატებითი არასტაბილურობა შესძინა ისეთ მგრძნობიარე რეგიონს, როგორიცააჩრდილო კავკასია. თვით ამ რეგიონის ავტონომიური რეგიონების ხელმძღვანელებიაღიარებენ, რომ ბოლო წლების მანძილზე ძალადობის მკვეთრი ზრდა, 2008 წლისაგვისტოს შედეგიცაა. თუმცა ამ ძალადობას მრავალი სხვა მიზეზიც აქვს. რუსეთისძალისმიერი ქმედებით არც დსთ-ის ქვეყნები ჩანან იმდენად დათრგუნულნი, რომ დაემორჩილონ მოსკოვის დიქტაქტს.

აღსანიშნავია, რომ ომის შემდეგ, რუსეთში მძიმე ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი კომპონენტი რუსულ-ქართული ომიც იყო, 2008 წლის აგვისტოს

ომის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად[18] დიდი მცდელობისა, ვერ განახორციელა საქართველოს ხელისუფლების ცვლილება,თუმცა „ფარული ხელით“ დღემდე ცდილობს შეცვალოს საქართველოს ევროინტეგრაციის კურსი, როგორც ეს 1921 წელს, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ მოახერხა. მომავალი სატრანზიტო ენერგეტიკული პროექტების,მარშრუტებში საქართველოს მნიშვნელობა კვლავაც აქტუალურია, ისევე, როგორც მის მიმართ დასავლეთის დაინტერესება. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე, რომლის ახალი წევრები აღმოსავლეთ ევროპიდან და ბალტიის რეგიონიდან სერიოზულად დაფიქრდნენ, თუ რამდენად დაცულია მათი უსაფრთხოება „ნატო“-ს ფუძემდებლური დოკუმენტის - ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის შესაბამისად. აგვისტოს ომის პერიოდში და უშუალოდ ომის შემდეგ, ევროკავშირმა მისთვის საკმაოდ უჩვეულო ოპერატიულობა და ეფექტურობა გამოიჩინა, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე, მათ განხორციელებაში. ნიკოლა სარკოზიმ, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტმა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა აგვისტოს დრამატულ დღეებში, ხოლო სექტემბერში ევროკავშირმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება უპრეცედენტო სამშვიდობო ოპერაციის - ევროკავშირის მონიტორინგის მისიის - საქართველოში განხორციელების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სარკოზი-მედევედევი-სააკაშვილისშეთანხმება კვლავაც შეუსრულებელი რჩება, რადგან რუსეთი უარზეა, გაიყვანოსჯარი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. სამწუხაროდ, ევროკავშირმა, ისევე როგორც „ნატო“-მ, სწრაფადვე გადალახა აგვისტოს აგრესიის სინდრომი და სულ რამდენიმე თვეში, რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ჩვეულ რეჟიმს კვლავ დაუბრუნდნენ. საქართველოს მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებელი იმაზე, თუ

[18]გელაშვილი,გ.“აგვისტოს ომის შედეგების სამათლებრივ-პოლიტიკური შეფასება“, გორი, 2011. გვ:9

რაოდენპრინციპულად წარმართავენ ა.შ.შ, ნატო და ევროკავშირი რუსეთთან ურთიერთობას და რამდენად მტკიცედ და უკომპრომისოდ დაიცავენ ისინი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს. ბოლო 10 წლის მანძილზე, აზერბაიჯანის კეთილდღეობა და ეკონომიკურ ურთიერთობა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიის გავლით ენერგორესურსების ტრანზიტზე. აგვისტოს ომმა სერიოზულად შეუზღუდა ბაქოს მოსკოვთან მიმართებით მანევრირების საშუალებები და აიძულა იგი, ეფიქრა უფრო ლოიალურ ნაბიჯებზე. აზერბაიჯანისათვის სერიოზულ დილემად იქცა სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების მცდელობები, რასაც, აგვისტოს ომმა მისცა ძლიერი იმპულსი.

2008 წლის აგვისტოს ომი, მტკივნეული დარტყმა აღმოჩნდა თურქეთის ხელისუფლებისთვისაც, რადგან, მათი გადასახედიდან, რუსეთის სამხედრო პოზიციების გაძლიერება, უთუოდ გამოიწვევს რეგიონში თურქეთის გავლენის შესუსტებას. ნაწილობრივ, ამით აიხსნება აგვისტოს ომისდამთავრებისთანავე ანკარის აქტიური კონტაქტები მოსკოვთან და კავკასიისათვის ახალი სამშვიდობო პლატფორმის შემუშავება, რომელშიც თურქეთსა და რუსეთს წამყვანი როლები ენიჭებათ. თურქეთის ხელისუფლებისთვის გარკვეულწილად იძულებითი ნაბიჯია სომხეთთან დიპლომატური ურთიერთობების აღდგენაც, რასაც მეტად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა აზერბაიჯანში. აგვისტოს ომმა, კვლავ შეახსენა სომხეთის მთავრობას ის გარემოება, რომ გარე სამყაროსთან საქართველოს სატრანზიტო დერეფანი სერიოზული რისკის მატარებელია.

გლობალური თვალსაზრისით ამ ომის ყველაზე საყურადღებო შედეგი გახლავთ ის, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნაბიჯ-ნაბიჯ შექმნილმა

ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურამ უძლიერესი, შესაძლოა, მომაკვდინებელი დარტყმა განიცადა. პრეზიდენტ მედვედევის ახალი დოქტრინა-„ხელშეკრულება ევროპული უსაფრთხოების შესახებ“ მსოფლიოში ბევრმა შეაფასა სწორედ,როგორც უსაფრთხოების ძველი არქიტექტურის დასამარების მცდელობა და თანამედროვე რუსეთის ამბიციებისათვის მისადაგებული ინიციატივა. ფაქტია, რომ უსაფრთხოების ყველაზე სრულყოფილი „კლუბის“ ნატოს წევრი ქვეყნებიც კი არ არიან სრულად დაცულნი გარეშე საფრთხეებისაგან. აქედან გამომდინარე, რიგი ევროპული ქვეყნებისა მივიდა ასეთ დასკვნამდე: მეზობელთან, განსაკუთრებით დიდ და საშიშ სახელმწიფოსთან, საერთო ენის გამონახვას ალტერნატივა არა აქვს. ამიტომ, საქართველო არ უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მხოლოდ მას მოუწიოს რუსეთთან „ცივი ომის“ წარმოება. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რუსეთთან ჩვენ აღარ უნდა დავუშვათ. პატარა ქვეყნის ვალია, მაქსიმალურად აირიდოს დამანგრეველ დაპირისპირებებში ჩართვა, გამონახოს საერთო ენა ოპონენტებთან. განსჯის საგანი შეიძლება იყოს ყველაფერი, გარდა თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისა.

მაშასადამე, დღევანდელ მსოფლიოში პატარა ქვეყნის ყველაზე ეფექტური თავდაცვის იარაღი და მექანიზმი მისი დემოკრატიულობის ხარისხია. ვაცლავ ჰაველმა ამ ფენომენს „ძალა უძალოთა“ უწოდა. დემოკრატია და ხალხის კეთილდღეობაა სწორედ ის ძალა, რაც აძლევს მცირე ქვეყანას მორალურ უპირატესობას. ასეთი ქვეყნის დაჩაგვრა XXI საუკუნეში მეტად რთულია. ამიტომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან საქართველოს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების გზა მიიყვანს.

დღევანდელი არჩევანი,[19] ევროპული ყაიდის ქვეყნის მშენებლობისათვის ასეთია: დემოკრატიიული ცვლილებები, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და რეალისტური საგარეო პოლიტიკა. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად „ნატო"-ში და სტრუქტურებში გაწევრიანება რჩება, მაგრამ საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობიდან და ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ თემით მუდმივად აპელირება დაუშვებელია. საჭიროა გაწონასწორებული, დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსი. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წესდებიდან გამომდინარე, ამ ორგანიზაციაში არ მიიღებიან ის ქვეყნები, რომელთაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და დაუფიქსირებელი საზღვრები აქვთ. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ყველა საერთაშორისო დონეზე აკეთებს განცხადებას, რომ „ნატო"-ს საზღვრების გაფართოება და საქართველოს ალიანსის შესაძლო წევრობა რუსეთის ფედერაციას ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს უქმნის. სწორედ, რუსეთის ხელისუფლების ეს შიში გახდა ერთ-ერთი სახიფათო წინაპირობა 2008 წლის ომის დასაწყებად. საქართველოს ხელისუფლება, დიდი იმედების მიუხედავად, დაუცველი, პრაქტიკულად პირისპირ აღმოჩნდა, კატასტროფული შედეგების წინაშე, თუმცა მანამდე უკვე, კოსოვოს პრეცენდენტი არსებობდა.

თანამედროვე საერთაშორისო რეალობიდან გამომდინარე, რუსეთთან დიალოგი უალტერნატივოა, იმ თვალსაზრისითაც, რომ თვით ამერიკის ადმინისტრაცია და პირადად ჰილარი კლინტონი, თავად არიან რუსეთთან ურთიერთობის განახლებისა და გადატვირთვის პოლიტიკის ხელშემწყობნი. მათ პრიორიტეტს, რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა წარმოადგენს და არა რუსეთთან პოლიტიკური და ბირთვული კონფრონტაცია. ეს აშშ-ის

[19] http://www.interpressnews.ge,25/05/2018

ხელისუფლების უაღრესად პრაგმატული გადაწყვეტილებაა. ბარაკ ობამას ადმინისტრაციას მემკვიდრეობით ერგო აშშ-ის მონაწილეობა ორ კატასტროფულ ომში - ავღანეთსა და ერაყში, ასევე, ახლო აღმოსავლეთში მოუგვარებელი პალესტნა-ისრაელის კონფლიქტი, ირანის კრიზისი. ყოველივე ამან, გამოკვეთა აშშ-ს ადმინისტრაციის პრიორიტეტი, რაც არის რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და არა კონფრონტაციის გზა. ასევე მოიქცა ევროკავშირი. ასე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გამოვლინდა მრავალპოლარული მსოფლიო, სადაც რუსეთი ცდილობს ზესახელმწიფოს როლი მოირგოს და დანარჩენი მსოფლიო იძულებული გახადოს, შეეგუოს ამ რეალობას.აღნიშნული სიტუაციის დაძლევა და სათანადო გზების ძიება, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისთვის, მხოლოდ, დაბალანსებული და გონივრული პოლიტიკით შეიძლება.

დასავლეთის სახელმწიფოები უძლურნი აღმოჩნდნენ, როგორც 2008 წლის ომის თავიდან აცილების, ისე, მისი მძიმე შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. საქართველო მათთვის მხოლოდ ნავთობსადენისა და გაზსადენის სარტანზიტო დერეფნად მოიაზრება. სახელისუფლებო წრეებში გაჩნდა იდეა - საქართველოსთვის კავკასიის ისრაელის სტატუსი მიენიჭებინათ. ეს იდეა მუსირებდა ყველა საერთაშორისო დონეზე, შედეგად კი მივიღეთ, საქართველო, არა როგორც კავკასიის ისრაელი, არამედ საქართველო, როგორც კავკასიის პალესტინა. საჭიროა პრაგმატული პოლიტიკის გატარება, რათა მომავალში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი სამხედრო დაპირისპირება და დიალოგის, ასევე, სახალხო დიპლომატიის გზით, აღდგეს დაკარგული ნდობა ოსებთან და აფხაზებთან, რადგან არც ერთ მხარეს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ეს თითოეულმა მხარემ უნდა გააცნობიერეოს. „ნატო“ თავის წესდებით ამბობს, რომ მის შემადგენლობაში მიიღებიან, მხოლოდ ის

ქვეყნები, რომლებსაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და დაუფიქსირებელი საზღვრები არა აქვთ.

რუსეთ - საქართველოს ომი, ეს არ იყო საქართველო-ოსეთის ან საქართველო - აფხაზეთის ომი. ეს იყო აშშ-სა და რუსეთის კონფრონტაცია საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც რაღაც პერიოდით, მათ შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. საჭიროაა, რომ საქართველომ გამოიმუშაოს გონივრული და რეალისტური საგარეო პრინციპები და პრიორიტეტები, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან მშვიდობას და სამშვიდობო-სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებას. ამასთან, საჭიროა ქვეყანამ ევროპის აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში განახორციელოს სვლა ევროპული ინტეგრაციისაკენ და რაც ყველაზე მთავარია, დაიწყოს რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირი დიალოგი, რომელიც ხელს შეუწყობს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დარეგულირებას, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს; თუ კი ეს, ამჯერად, პირდაპირი დილოგის გზით ვერ მოხდება, დიალოგი უნდა განხორციელდეს ნებისმიერი შუამავლის მეშვეობით.

სამხრეთ კავკასია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ამავდროულად, რთული რეგიონია და საქართველოც მუდმივად გეოპოლიტიკური ძვრების პროცესში იმყოფება. კავკასიაში მოუხსნელად დგას ომისა და მშვიდობის საკითხი და აქ იგულისმება არა მარტო საქართველო, ასევე, სომხეთი და აზერნაიჯანიც, რომელთა შორის სამხედრო კონფრონტაციის განახლებამ შეიძლება სხვა ქვეყნების ჩართულობა და გრძელვადიანი დაპირისპირება გამოიწვიოს. ამ ვითარებაში კი საქართველო, რომელიც ინტენსიურად მონაწილეობს ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ პროექტებში (ნავთობსადენი,

გაზსადენი, აბრეშუმის გზა, სარკინიგზო მაგისტრალი, ევრაზიული დერეფანი და სხვა), ზუსტად უნდა გაიაზროს მისი ფუნქცია.

საქართველოს პოლიტიკურმა წრეებმა საერთაშორისო საზოგადოება უნდა დაარწმუნოს, რომ საქართველოს, გარდა სატრანზიტო ქვეყნისა და ბუნებრივი გეოგრაფიული დერეფნის დატვირთვისა, აქვს უფრო მნიშვნელოვანი გეოცივილიზაციური ფუნქცია. კერძოდ, მას აქვს შანსი, იქცეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მუდმივი დიალოგისა და თანამშრომლობის ტრანსსივრცედ.

არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ზეწოლა, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, დიალოგისა და მოლაპარაკების გარეშე, ინტერესების გაცვლის გარეშე, რაიმე ტიპის ცვლილებებს განახორციელებს, დღევანდელ „სტატუს კვოს“თან მიმართებაში. ამას ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ უდიდესი ძალისხმევისა და შრომის ფასად უნდა მიაღწიოს. საჭიროა გონივრული, რეალური და ურთიერთინტერესთა გაცვლაზე დაფუძნებული პრაგმატული პოლიტიკის განხორციელება, რომელსაც, უბრალოდ, სამეზობლო პოლიტიკა ჰქვია. დემარშებისა და კონფრონტაციის გზა დამღუპველი გზაა. ერთადერთი გზა ურთიერთმიმართ ნდობის აღდგენის, სიძნელეთა დაძლევის და თანამშრომლობის გზაზე გადის.

ამასთან, საქართველოს რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირების, ასევე, რუსული აგრესიის შემაჩერებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად, კვლავ, ევროკავშირი და დასავლეთის ქვეყნები რჩებიან, ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ქვეყნის „ნატო“-ში და ევროსტრუქტურებში გაწევრიანება განიხილება/საქართველოსთვის ნატოს წევრობა არასოდეს ყოფილა

გარანტირებული, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ევროპული ქვეყნების ყოყმანს, რომლებიც ანგარიშს უწევდნენ რუსეთის მკვეთრ წინააღმდეგობას. გაწევრიანების მოწინააღმდეგენი ხშირად იშველიებდნენ ნატოს მიერ 2005 წელს ჩატარებულ „კვლევას გაფართოების შესახებ", რომლის მიხედვითაც „ეთნიკური" ან „შიდა იურისდიქციული კონფლიქტების" გადაჭრა იქნებოდა გადამწყვეტი ფაქტორი ალიანსში ქვეყნების გაწევრიანებისთვის". 2008 წლის ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველო (უკრაინასთან ერთად) სამომავლოდ გახდებოდა ალიანსის წევრი, საკმაოდ უღიმღამოდ მიღებულ კომპრომისს წარმოადგენდა. საბოლოოდ, საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას არა აქვს დიდი მნიშვნელობა ამერიკული პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებთათვის. შეერთებულმა შტატებმა შეიძლება მხარი დაუჭიროს ალიანსში ქვეყნის გაწევრიანებას, მაგრამ ა.შ.შ-ს პოლიტიკა რეგიონში არ არის დამოკიდებული დასავლეთის სამხედრო ძალის მხარდაჭერაზე კავკასიასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ჩანს, რომ ამერიკული პოლიტიკის გადაწყვეტილების მიმღებები რუსეთის მხრიდან ამის უარყოფის საფასურს აფასებენ როგორც საკმაოდ დაბალს. მეორე: ომის შედეგად რუსეთის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკაში მხოლოდ რამოდენიმე, მცირე ცვლილება მოხდა. განსაკუთრებით ბარაკ ობამას ახალმა ადმინისტრაციამ მიიჩნა, რომ 2008 წლის ომი უფრო ანომალიას წარმოადგენდა, ვიდრე იმის ნიშანს, რომ რუსეთი არ აპირებდა, გამხდარიყო „21-ე საუკუნის" სახელმწიფო. მათთვის ომი არ იყო იმ ფუდამენტური ცვლილების მომასწავებელი, რომლითაც რუსეთი ცდილობდა, ბოლო მოეღო საქართველოსა და მთლიანად რეგიონში წლების განმავლობაში არსებული დინამიკისთვის.

ამერიკელი ანალიტიკოსების მოსაზრებით, რუსეთი ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია დასავლეთის გავლენის გაფართოებისთვის ძალის მინიმალური გამოყენებით და სწორედ ძალის ამგვარი გამოყენების უკიდურეს მანიფესტაციას წარმოადგენდა ომი, რომელიც ამავე დროს საქართველოს მთავრობის მიერ ძალის დაუფიქრებელმა გამოყენებამაც განაპირობა. ომს თან არ მოჰყოლია დასავლეთის სამხედრო პოზიციების შეცვლა, სანქციები ან სხვა რაიმე სერიოზული ზომები. პირიქით, ომიდან შვიდი თვის თავზე ამერიკამ და რუსეთმა (ობამამ და მედვედევმა) ურთიერთობების „გადატვითვის" პროცესი დაიწყეს. ამერიკის მთავარი მიზანი გახლდათ, დაეყოლიებინა რუსეთი თანამშრომლობაზე.

ა.შ.შ[20] არ განიხლავდა რუსეთის გაზრდილ სამხედრო კონტინგენტს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში მანამდე არსებული სტატუს კვოს ფუნდამენტურ ცვლილებად. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის გაზრდილი სამხედრო ძალა რეგიონში საფრთხეს უქმნიდა საქართველოს, ამერიკული პოლიტიკის გადაწვეტილების მიმღებები სრულად ვერ აცნობიერებდნენ, რომ სამხედრო კონტინგენტი დე ფაქტო რესპუბლიკებში (ან მის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება) წარმოადგენდა რეალურ საშიშროებას საქართველოში პროდასავლური პოლიტიკური კურსის შეცვლის ან სხვა ქვეყნებში მსგავსი სამხედრო მოქმედების წახალისებისა და ხელშეწყობისთვის. რუსეთის მიერ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდული იყო და შეერთებული შტატები რუსეთთან ჩართულობის პოლიტიკას უკეთეს ინსტრუმენტად მიიჩნევდა ძალის გამოყენების შეკავებისთვის, ვიდრე გაუცხოებასა და იზოლაციას.

[20] https://presa.ge,11/06/2018

დასკვნა

ცივი ომის დასარულმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო წესრიგი. კომუნიზმის დამარცხებამ მე-20 საუკუნის მიწურულს ჩამოაყალიბა ახალი მსოფლიო წესრიგი და თუ მაშინ საუბრობდნენ რიგი მკვლევარები მსოფლიოს უნიპოლარიზებაზე, 21-ე საუკუნეში იცვლება ეს სიტუაცია. 2008 წლის აგვისტოს ომი იყო ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის შედეგადაც რუსეთმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია მრავალპოლარული მსოფლიოს შესახებ.

საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცივი ომის შემდეგ, დასავლეთი ანუ დემოკრატიული ქვეყნების არაფორმალური კავშირი, სრული ლიდერი იყო პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და ნორმატიულ სფეროებში. ლიდერის როლი დასავლეთის ერთ, ყველაზე გავლენიან ქვეყანას - ამერიკის შეერთებულ შტატებმა იტვირთვა.

ამ ფონზე პირველად ისტორიაში მიჩნეულ იქნა, რომ საერთაშორისო წესრიგი დაეფუძნებოდა არა მხოლოდ ძალთა ბალანსს, არამედ

ღირებულებათა ერთობას, როგორიცაა დემოკრატიული მშვიდობა და ადამიანის უფლებები.

დროთა განმავლობაში მსოფლიო წესრიგი იცვლებოდა, ა.შ.შ-ს მსგავსად რუსეთმაც, სწორი პოლიტიკის წყალობით გააფართოვა გავლენის სფეროები და უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკოსები საუბრობდნენ, რუსეთში ეკონომიკური სიძნელეების ფონზე სახალხო გამოსვლებს და საერთოდ რუსეთის ფედერაციის დაშლას, მაგრამ როგორც ვხედავთ დღეს რუსეთი საკუთარ ინტერესებს აფიქსირებს უკრაინაში, საქართველოში. ასევე ისინი თავიანთ ინტერესებს იცავენ ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ცივი ომის დასრულების შემდეგ განიხილებოდა, როგორც აშშ-ის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ და დღეს ამ კონფლიქტში მისი ძალები ძალიან სიმბოლურადაა წარმოდგენილი. ნაშრომში კარგად ჩანს, რომ თანდათანობით ა.შ.შ კარგავს თავის გავლენას მსოფლიოს სახლმწიფოებზე და იკვეთება რუსეთის პოზიციები. სამყარო ხდება მრავალპოლუსიანი. ბარაკ ობამას ადმინისტრაციას მემკვიდრეობით ერგო აშშ-ის მონაწილეობა ორ კატასტროფულ ომში - ავღანეთსა და ერაყში, ასევე, ახლო აღმოსავლეთში მოუგვარებელი პალესტნა-ისრაელის კონფლიქტი, ირანის კრიზისი.

ყოველივე ამან, გამოკვეთა აშშ-ს ადმინისტრაციის პრიორიტეტი, რაც არის რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და არა კონფრონტაციის გზა. ასევე მოიქცა ევროკავშირი. ასე, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გამოვლინდა მრავალპოლარული მსოფლიო, სადაც რუსეთი ცდილობს ზესახელმწიფოს როლი მოირგოს და დანარჩენი მსოფლიო იძულებული გახადოს, შეეგუოს ამ რეალობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასმუსი,რ. „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, თბილისი, მერიდიანი, 2008;
2. გელაშვილი,გ. “აგვისტოს ომის შედეგების სამათლებრივ-პოლიტიკური შეფასება“, გორი, მეცნიერება, 2011;
3. დევდარიანი,ჯ. “საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისკენ”, თბილისი,მეცნიერება, 2006;
4. კაპანაძე, ს. „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბილისი, მეცნიერება, 2006;
5. მედულაშვილი,ე. „NATO და ევროკავშირი – საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტეტები”, თბილისი, მერიდიანი, 2015;
6. ყალიჩავა,ყ. “აგვისტოს ომის განხილვა ქართულ და ინგლისურ ენოვან ლიტერატურაში“, თბილისი, უნივერსალი, 2016;
7. ძიძიგური,ნ. „გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“, თბილისი, 2017;

8. ქოქრაშვილი,ხ. „ნატო-საქართველო ურთიერთობის ძირითადი მომენტები" კრებული ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, მეცნიერება, 2017;
9. Barbashin, A. „A collapse that did not happen", New York, 2010;
10. Tracey C. German, „Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and the USA", Conflict Studies Research Cente, 2004;
11. Astrov, A. The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order, Ashgate, 2010;
12. Astrov, A. Great Power Management Without Great Powers? Th e Russian - Georgian War of 2008 and Global Police/Political Order In: The Great Power (mis) Management, 2011;
13. Goltz., T. The Paradox of Living in Paradise: Georgia's descent into Chaos. – In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell & S. Frederick Starr, Central Asia-Caucasus Institute NY-London:Armonk,2015;
14. Papkova, I. (2011). Great Power Misalignment: The United States and the
15. Russo-Georgian Conflict , In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2016;
16. Popjanevski, J. .From Sukhumi to Tskhinvali: The Path to War in Georgia. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S.Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk, 2009;
17. Smith, David J. The Saakashvili Administration's Reaction to Russian Policies Before the 2008 War. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E.Cornell and S. Frederick Starr, Central Asia-Caucasus Institute, NY–London: Armonk.2009;

18. Sherr, J. The Implications of the Russia-Georgia War for European Security. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S.Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009;
19. Sussex, M. Conclusions: The Future of conflict in the former USSR, In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. New York: Cambridge University Press, 2012
20. Sakwa, R. (2012). Great Powers and Small Wars in the Caucasus, In: Conflictin the Former USSR, Edited by Matthew Sussex, New York: Cambridge University Press, 2012;
21. О поиске причин, динамики, путей урегулирования и возможных направлениях развития Грузино-Осетинского конфликта (Анализ и рекомендации независимых экспертов Грузинской и Осетинской сторон), (2006). Отчеты, анализ, рекомендации, №2, Владикавказ: Клуб Гражданское общество, 2000.

ინტერნეტ რესურსები

https://presa.ge

http://www.interpressnews.ge

https://idfi.ge

https://www.militarium.org

http://www.nplg.gov.ge

http://european.ge

http://infocenter.gov.ge

https://politicano01.wordpress.com